რადიოინტერვიუს მოტივებზე A2
წერილები მთავრობას A7
TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 16 სექტემბერი, 2003 წელი. №247 (459)
ფასი 30 თეთრი

ქართული პოლიტიკის სოლიდარული არჩევანი

რევაზ საყევარიშვილი

რა დროშა მოგვცა ლენინმა

თბილისის თავზე წითელი დროშა არ ფრიალებს. უფრო გულმოდგინე დაკვირვებით ირკვევა, რომ ეს დროშა ახლა არა ერთ, არამედ სამფეროვანია. თუმცა, ეს არ არის ქართული შინდისფერ-შავ-თეთრი. უფრო დეტალური დათვალიერებისას აღმოჩნდება, რომ ეს რუსული ტრიკოლორია - მისი ფონიდან ერთდროულად გვიმზერს ჩრდილოეთის სითეთრეც, სისხლის სიწითლეც და სიცივის სილურჯეც.

თუმცა, ამ დროშის შემოტანას ზუსტად ის გამართლება უპოვეს, რომ არც სისხლი დაგვეღვარა, არც სტრესისგან გავფითრებულიყავით და არც სიცივით გავლურჯებულიყავით.

ახლა ველით ამ დაპირების ასრულებას. მაგრამ უკვე ყველა ხედავს, რომ მის ასრულებას არავინ აპირებს. ეს ის შემთხვევაა, როცა განვითარების ორივე სცენარს აბსოლუტურად იდენტური შედეგი აქვს. თუმცა, დღეს არავინ იხსენებს, რომ ჟანგბადისა და უჟანგბადობისა არ იყოს, ზოგჯერ სიცივისგანაც და სიცხისგანაც ერთნაირად შეიძლება სულის შეხუთვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ზურაბ ჟვანია „თავდასხმაზე„ გადადის

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა თვეში ოთხჯერადი სიხშირით გაუხსენა "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს ხუდონჰესის წინააღმდეგ თავის დროზე გალაშქრება, ზურაბ ჟვანიას "პოლიტიკური მოთმინების ფიალა" აივსო – გუშინ მან პრეზიდენტი, ან მის მიერ შესაბამისი მანდატით აღჭურვილი სახელისუფლებო კადრი დებატებში გამოიწვია, მანამ კი ამ თემაზე ჟურნალისტებს საკმაოდ დეტალური განმარტება მისცა:

"დღეს საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, ყველა უბედურების სათავედ წარმოაჩინოს 25 წლის ზურაბ ჟვანია, რომელმაც 1989 წელს სოფელ ცაიშში თქვა, რომ ხუდონჰესის აშენება ცუდია. გავარჩიოთ საქმის არსი - მე ძალიან კარგად მახსოვს ეს პერიოდი. ხუდონჰესის აშენება იმ სახით, რა სახითაც ის შენდებოდა, რომ არ შეიძლებოდა, ეს არ იყო ზურაბ ჟვანიას აზრი. ეს იყო აზრი, რომელიც საქართველოს საუკეთესო მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

„სახელმწიფო მინისტრი და ფინანსთა მინისტრი პრეზიდენტს ატყუებენ„ - აცხადებს როლანდ გილიგაშვილი

იუსტიციის მინისტრმა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გუშინ სიტყვიერად მოახსენა. განცხადებას, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, როლანდ გილიგაშვილი პრეზიდენტს დღეს ჩააბარებს.

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენი ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენული, მატერიალურ-ტექნიკური და მორალურ-ზნეობრივი პრობლემების შესახებ საჯაროდ არაერთხელ განმიცხადებია. თქვენი მხარდაჭერითა და ინიციირებით არაერთგზის წამომიყენებია წინადადებები მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგმულა მათ გადასაწყვეტად და თქვენი დავალებები, რომლებიც მიმართული იყო პენიტენციალურ სფეროში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამოსწორებისკენ, ხელისუფლებაში მყოფი არაერთი მაღალი თანამდებობის პირის გულგრილი და არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამო, არ იქნა შესრულებული.

იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც მე ვაწარმოებდი სასჯელაღსრულებით სისტემაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ჩემი მუშაობის მანძილზე, მიმაჩნია ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში პრიორიტეტულ და პრინციპულ საკითხად.

ჩემი პირადი განცხადების საფუძველზე და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლებისა და ჩემთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

როლანდ გილიგაშვილი. 15.09.03

გაგრძელება A2 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

როლანდ გილიგაშვილი გადადგომამდე..

ნაბიჯით იარ - უკან!

საქართველოს პრეზიდენტის ნოსტალგია წარსულზე

"უმძიმესი შეცდომა", - ასეთ შეფასებას აძლევს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პენიტენციალური სისტემის რეფორმას, რომელიც საქართველოში ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნით ჩატარდა. ასეთი განცხადების საჯაროდ გაკეთება გასაკვირიც კი იქნებოდა დასავლური ფასეულობების დეკლამატორ საქართველოს პრეზიდენტისგან, ოღონდ, ცოტა ხნის წინათ და არა დღეს, როცა იგი ამ ფასეულობებს სახალხოდ უკვე მერამდენედ განუდგა.

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანების ერთ-ერთ უმთავრეს კატეგორიულ პირობად, სიკვდილის დასჯის გაუქმებასთან ერთად, სწორედ პენიტენციალური სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემა წაუყენეს. მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის აგრესიული წინააღმდეგობისა (ბევრს ახსოვს, როგორ აბრახუნებდა კახა თარგამაძე მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას მაგიდაზე მუშტებს), როგორც ჩანს, იმ ეტაპზე საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისთვის ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე პოლიციურის ნაცვლად სამოქალაქო ზედამხედველობა დაწესდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ დანაკარგს ძნელად შეეგუა, თუმცა, რეფორმატორული იმიჯით მოსული ახალი მინისტრისგან პენიტენციალური სისტემის უკან დაბრუნების მოთხოვნას მაინც არავინ ელოდა. მაგრამ მან მოითხოვა – წელს, ზამთარში საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, კობა ნარჩემაშვილმა ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების გამწვავების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ

გაგრძელება A2 გვერდზე

კურტანიძემ მეორე მსოფლიო მოიგო

გიგა გურასაშვილი

ქართველმა ფალავანმა ელდარ კურტანიძემაც იბრძოლა, მეტოქეებს ბდღვირი ადინა და ნიუ იორკში, სპორტულ დარბაზთა დარბაზში, "მედისონ სკვერ გარდენში", თავისუფალი სტილით მოჭიდავეთათვის დაგებული მსოფლიო ჩემპიონატის ხალიჩა თავაწეულმა დატოვა. გიხაროდეთ, ქართველი ფალავანი მსოფლიო ჩემპიონია!

როგორც კი ელდარ კურტანიძე საჭიდაო ხალიჩაზე გამოჩნდა, უმალ ნაკრების ლიდერად იქცა. ნებისმიერი ასპარეზობის წინ, როცა მწვრთნელებს პროგნოზების გაკეთებას ვთხოვდით, პირველ რიგში, სწორედ კურტანიძეზე მიუთითებენ. ასე გრძელდება რამდენიმე წელიწადია. კურტანიძე ნაკრების ჯილად და ერთგვარ გამწევ ძალად ჩამოყალიბდა. თუმცა, როდესაც საკუთარ თავზე საუბრობს, სინანულით იტყვის ხოლმე: მუდმივად მეორე ვარო.

გაგრძელება A6 გვერდზე



REUTERS

ელდარ კურტანიძემაც მეტოქეებს ბდღვირი ადინა.

მკვლელობა ბახტრიონის ქუჩაზე

გუშინწინ, შუაღამისას, დაახლოებით პირველ საათზე, ბახტრიონის ქუჩაზე სროლის ხმა ისმოდა. თავდამსხმელებმა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან ჩაცხრილეს ყოფილი პარლამენტარის, თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის - ეგრეთ წოდებული "დეზერტირების ბაზრის" დირექტორის ლაერტ ზუბადალაშვილის შვილი, 35 წლის ზურაბ ზუბადალაშვილი.

ხათუნა ჯანგირაშვილი

სახლში მეუღლესთან ერთად დაბრუნებულ ზურაბ ზუბადალაშვილს პირველი ტყვია მას შემდეგ ესროლეს, როცა მან მანქანა ავტოფარეხში დააყენა. ამ დროს მისი მეუღლე სახლთან მდებარე მაღაზიაში შევიდა. დაჭრილმა ზუბადალაშვილმა გაქცევა, მეუღლის გაფრთხილება - გაიქეცი, მომდევენო – მოასწრო, სადარბაზოში შესვლა მოახერხა და თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა. მიყენებული ჭრილობის შედეგად სადარბაზოში ჩაკეცილ ზუბადალაშვილთან ერთ-ერთი თავდამსხმელი მივიდა და მას მიბჯენით ერთხელ თავის, ორჯერ კი გულ-მკერდის არეში ესროლა. ზუბადალაშვილი საკონტროლო გასროლით მიყენებული ჭრილობების გამო ადგილზევე გარდაიცვალა.

წინასწარი მოინაცემებით, თავდამსხმელი, სავარაუდოდ, სამი იყო. გარდაცვლილს "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით დაახლოებით ექვსი ჭრილობა აქვს მიყენებული. გარდა ამისა, წინასწარი მონაცემებით, მოკლულს დანით მიყენებული ჭრილობებიც აღენიშნება. ექსპერტიზის საბოლოო პასუხი დღეს გახდება ცნობილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ალიევების სამედიცინო და იურიდიული პრობლემები

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკის ფედერალური სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დააპატიმრეს შვეიცარიელი ადვოკატი ბოდმერი, რომელსაც ბრალი ედებოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მოქრთამვაში.

გამოძიების მტკიცებით, ამერიკულმა საინვესტიციო ბანკებმა, რომელთაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ხელში ჩაგდება სურდათ, უზარმაზარი ქრთამი გადაუხადეს აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებს. ათეულობით მილიონი დოლარი ნაღდი ფული ბოდმერმა ციურიხიდან ბაქოში ჩარტერული რეისებით გადაზიდა. "ომეგა ედვაიზერზმა" 1998 წელს 126 მილიონი დოლარის ღირებულების ვაუჩერები შეიძინა, რომლითაც მას და სხვა კომპანიებს "სოკარის" ყიდვა ჰქონდათ განზრახული. საბოლოოდ, ნავთობკომპანიის პრივატიზება არ მოხდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

ალიევების ოჯახი ბრალდებებს უარყოფს.

„იტერა„ ნელ-ნელა გვემშვიდობება

სავარაუდოდ, თბილისი ბუნებრივი გაზის გათიშვას გადაურჩა. მერიამ მოახერხა და ბოლო დღეს, ბოლო წუთს "იტერას" აგვისტოს თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის – 287 ათასი დოლარის გადახდის გარანტია წარუდგინა.
ბუნებრივია, "იტერა" თბილისს კიდევ ერთხელ დაინდობს. მით უმეტეს, "გაზპრომის" ტრიუმფალური ქართული ლაშქრობის წინ. "გაზპრომის" პოლიტიკურმა ინტერესებმა უკვე იმსხვერპლა "იტერას" კომერციული ინტერესი კავკასიის ბაზარზე, უკანასკნელი ინფორმაციით კი, "იტერასა" და "გაზპრომს" შორის ურთიერთობა ნელ-ნელა უფრო და უფრო იძაბება.

მაია ურუშაძე

სანამ "იტერა" კავკასიის ბაზარს ნელ-ნელა ემშვიდობება, "თბილგაზში" სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს და, შესაბამისად, დედაქალაქში გაზის მოხმარება შედარებით დაბალია. "ინჟმშენი", რომელიც "თბილგაზის" ქსელის რეაბილიტაციას აწარმოებს, ამ სამუშაოების დასრულებას ნოემბრის დასაწყისისთვის გეგმავს. თანაც, ირკვევა, რომ ბიუჯეტში თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის სამკურნალოდ გათვალისწინებული 4 მილიონ 200 ათასი ლარი, რომელიც "ინჟმშენს" შრომის საზღაურად უნდა მიეღო, სეკვესტრში მოყვა და, შესაბამისად, კომპანიამ სამუშაოები, შესაძლოა, აღარც დაასრულოს. მილიონ 500 ათასი ლარი, რომლის გამოყოფასაც ფინანსთა სამინისტრო "ინჟმშენისთვის" გეგმავს, სამუშაოთა მხოლოდ იმ ნაწილს აფინანსებს, რაც უკვე ჩატარებულია. არადა, "თბილგაზის" ხელმძღვანელთა განცხადებით, ჯერ სამუშაოების მხოლოდ პირველი ეტაპია დასრულებული. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ქსელის აღდგენითი სამუშაოები კი, ჯერჯერობით, არც დაწყებულა.

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსთავის მერი განრისხდა

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი ცოტა ხნის წინ ამტკიცებდა, რომ წინასაარჩევნო პოლიტიკურ ბატალიებში არ ჩაერეოდა. გუშინ მან ეს პირობა დაარღვია და ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, უამრავი ადამიანის თანდასწრებით ასეთი განცხადება გააკეთა:

- "არ მინდოდა პოლიტიკურ ბატალიებში ჩავრეულიყავი, მაგრამ რა უმსგავსოებასაც ვხედავ, ამის მოთმენა შეუძლებელია. ზოგიერთ ადამიანს რუსთავში 9 ნლის მანძილზე უმოღვაწია. მანახეთ ამ ადამიანის მიერ ამ ხნის მანძილზე ერთი ხე დარგული, ან ერთი "სტოლბა" შეღებილი. ის ადამიანები, რომლებმაც ტრაკქვეშ ამოიდეს (სტილი დაცულია "24 საათი") წარმოება-დაწესებულებები, დღეს ერის, ქვეყნის და მოსახლეობის დამცველებად გამოდიან. ვერ ვაპატიებ ვერაფერს. დაფიქრდეს ყველა, დემაგოგიას აქვს საზღვარი და ვიბრძოლებ ბოლომდე, რომ ამ ადამიანებისაგან გათავისუფლდეს რუსთავი".

ვინ იგულისხმა "ზოგიერთ ადამიანში", რომელიც 9 წელია რუსთავში მოღვაწეობს, ტყეშელაშვილმა არ დააკონკრეტა. სავარაუდო და სარწმუნოა, რომ ის ქვემო ქართლის გუბერნატორს, ლევან მამალაძეს გულისხმობდა. არაოფიციალურად მერმა ეს დაადასტურა კიდეც. ბოლო ერთი თვის მანძილზე გუბერნატორი მამალაძე სამხარეო ადმინისტრაციის თათბირებზე დიდ დროს უთმობდა ელექტროენერგიის თემას. მისი ვერსიით, ენერგოდეფიციტი ქვეყანაში არა ხელისუფლების, არამედ "ვითომ დემოკრატი ოპოზიციის" ბრალია და ხელისუფლებამ ხალხი მათი მავნებლობისაგან უნდა დაიცვას.

"სამთავრობო ბლოკის წარმომადგენლებს არ აქვთ მორალური უფლება, ენერგოდეფიციტი ვინმეს გადააბრალონ. ეს მათი უსუსურობისა და არასწორი პოლიტიკის შედეგია. ერთი მინისტრი ან თანამდებობის პირი მაჩვენეთ, რომელმაც პასუხი აგო ამაზე. ვის რას აბრალებენ, კეთილი ინებონ და პასუხი თავად აგონ მოსახლეობის წინაშე. მე ვიქნები პირველი ადამიანი, რომელიც ქუჩაში გამოიყვანს მოსახლეობას და მერე ვნახოთ, ეს ვის წისქვილზე დაასხამს წყალს," - მსგავსი შინაარსის მუქარა ტყეშელაშვილს პირველად არ გაუვრცელებია, თუმცა გუშინ ის განსაკუთრებულად გაბრაზებული ჩანდა.

რუსთავის მერის "წყობილებიდან გამოსვლის" მიზეზი ნანილობრივ რუსთავის პოლიციაში წინასაარჩევნოდ განხორციელებული საკადრო ცვლილებებიც გახდა. გუბერნატორ მამალაძეს არც დაუმალავს, რომ ერთი კვირის წინ რუსთავის პოლიციის უფროსად შს მინისტრმა მისი შეთავაზებული კანდიდატურა, დავით მჭედლიშვილი დანიშნა, რომელმაც თავის მხრივ რამდენიმე "ზედმეტი" ადამიანი მოაცილა პოლიციას. "ეს იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლებო ბლოკს ძალისმიერი მეთოდებით სურს არჩევნების ჩატარება," - ასეთი დასკვნის გაკეთების შედეგ ტყეშელაშვილი ყველა იმ პოლიტიკოსს, რომელიც გაბედავს და ცილს დასწამებს რუსთავის მთავრობას, დაემუქრა - "ცხვირში ძმარს გადენთო".

ამინდი

თბილისი	24
ქუთაისი	31
ბათუმი	30
სოხუმი	28
გაგრა	26
ფოთი	31
თელავი	22
ზუგდიდი	31
გორი	23
ახმეტა	23
ჭიათურა	26
ონი	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ	3.4322
რუბლი	0.0705

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 წერილები მთავრობას A8 სხვადასხვა

მკვლელობა ბახტრიონის ქუჩაზე

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ სამართალდამცველები მკვლელობის მოტივად შურისძიებაანგარიშსწორებას არ ასახელებდნენ და დეტალებზე საუბარს თავს არიდებდნენ, გარკვეულ მინიშნებებს მაინც ხსენებულ ვერსიაზე აკეთებდნენ და აცხადებდნენ, რომ ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობა არანაირად არ უკავშირდება მისი მამის ბიზნესს და არც გარდაცვლილის წარსულთან აქვს რაიმე კავშირი. თუმცა, არაოფიციალურ საუბრებში სამართალდამცველები არ მალავენ, რომ ზურაბ ზუბადალაშვილს რამდენიმე მკვლელობა ბრალდებოდა.

სხვათა შორის, ზურაბ ზუბადალაშვილი ოთხი წლის წინ, როცა ის ბანკ "თამარიონის" პრეზიდენტი გახლდათ, დოჭვირის მკვლელობისთვის დააკავეს. მკვლელობის საქმეში რამდენიმე ეპიზოდი იყო გაერთიანებული და ზუბადალაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები საკმაოდ ვრცელი იყო. თუმცა, მოგვიანებით, სასამართლომ, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებასთან ერთად, ზუბადალაშვილს სხვა ბრალდებებიც მოუხსნა და განსასჯელი გაათავისუფლა.

როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში ზურაბ ზუბადალაშვილი არსად მუშაობდა და საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა.

"ვვარაუდობთ, რომ ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობას მალე გავხსნით. მკვლელობის მოტივი ჩვენთვის უკვე თითქმის ცნობილია. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვით," - აცხადებს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ვალერი გრიგალაშვილი, რომელიც გარკვეულ მინიშნებებს მაინც შურისძიების მოტივზე აკეთებს.

ფულის მომლოდინე გამტაცებლები პოლიციამ დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წელს საქართველოში, ფულის გამოძალვის მიზნით, სულ 18 ადამიანის გატაცების ფაქტი დაფიქსირდა. აქედან 14 გატაცებული უკვე გათავისუფლებულია და, შესაბამისად, დაპატიმრებულია 35 გამტაცებელი.

თამარ კაკიჩაძე

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაახლოებით, ერთი თვის წინ გატაცებული 11 წლის გიორგი ქიქავას გათავისუფლების შესახებ პრესკონფერენცია უნდა გაემართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო დღეებში თბილისში მომხდარი გახმაურებული მკვლელობების გამო, წარმატებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მის მოადგილეს რუბენ ასანიძეს მოუწია.

როგორც უკვე ვწერდით, გიორგი ქიქავა 13 აგვისტოს ონის რაიონის სოფელ ჭაქვიდან გაიტაცეს და როგორც გუშინ მინისტრის მოადგილემ განაცხადა, მისი გათავისუფლებისთვის გამტაცებლები 60 ათას დოლარს ითხოვდნენ. გიორგი ქიქავას დედას მედიკამენტების მცირე ბიზნესი აქვს თბილისსა და მოსკოვში. ასანიძის მტკიცებით, ბავშვის გატაცებაში ეჭვმიტანილთა წრე გატაცებიდან რამდენიმე დღეშივე დადგინდა, მაგრამ გათავისუფლება დროში იმიტომ გაიჭიმა, რომ საქმე არასრულწლოვანის სიცოცხლეს და მის უსაფრთხოდ გათავისუფლებას ეხებოდა. რუბენ ასანიძის თქმით, ოპერაციის წარმატებით დასრულება, უპირველესად, დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ბავშვის მშობლები სამართალდამცველებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. გათავისუფლების ოპერაციას უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველო ატარებდა. სამმართველოს უფროსის თამაზ ალანიას თქმით, **"ოპერაციის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი იყო, გამტაცებლები დაგვერწმუნებინა, რომ გამტაცებლების გამოვლენით პოლიცია არ იყო დაინტერესებული. ამისათვის ბავშვის დედას ტელევიზიით გავაკეთებინეთ განცხადება, რომ თითქოს გიორგი გატაცებული კი არ იყო, არამედ იგი მამამ დასასვენებლად წაიყვანა. ამის პარალელურად, ჩვენი სამსახური სხვა სამძებრო ღონისძიებებსაც ატარებდა. ბოლოს, როდესაც გატაცებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი გავარკვიეთ, ფულის გადაცემის ინსცენირება გავითამაშეთ. ერთ-ერთ პიროვნებას გამტაცებლებისთვის თანხა უნდა მიეტანა, სანაცვლოდ კი ბავშვს გამოუშვებდნენ. შეთანხმების თანახმად, გამტაცებლებმა ბავშვი გამოუშვეს და ნახევარ საათში ფულის მომლოდინე გამტაცებელთა ჯგუფიც ავიყვანეთ,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში თამაზ ალანიამ.

ბავშვს გამტაცებლები ჯერ ლენტეხის რაიონის სოფელ ფანაგაში ტარიელ ბაბლუანის ოჯახში მალავდნენ, ცოტა ხანში კი იგი სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფელში გადაიყვანეს. გამტაცებლები დავით კრავეიშვილი, გიორგი ბათაძე, ლაშა გოგოლი და ტარიელ ფაჩულია პოლიციამ სწორედ სენაკის რაიონში აიყვანა. მინისტრის მოადგილის თქმით, ყველა დაკავებული წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევია. დაკავებისას, ფაჩულიას - გადაჭრილი თოფი, გოგოლს კი ხელყუმბარა აღმოაჩნდა. ამასთან, მინისტრის მოადგილის მტკიცებით, გამტაცებლები დაპატიმრების მომენტში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

გიორგი ქიქავას გატაცებასთან დაკავშირებით, გატაცების დღესვე რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის პროკურატურაში ადამიანის გატაცების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაკავებულებს გუშინ სწორედ აღნიშნული რეგიონის სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თუმცა, შს მინისტრის მოადგილის განცხადებით, ქიქავას გატაცების საქმესთან დაკავშირებით დაკავებულთა რაოდენობა ცოტა ხანში კიდევ გაიზრდება, რადგან რამდენიმე პიროვნებაზე უკვე გამოცხადებულია ძებნა.

სვეტი

რადიოინტერვიუს მოტივებზე

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტს აღიზიანებს წინასაარჩევნო რეკლამა (ანუ, ჯერჯერობით - "ახლები" და "ბურჯანაძე-დემოკრატები");

საქართველოს პრეზიდენტს აკვირვებს ის, რომ საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო კანონი მოსყიდვების შესახებ და არ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ეროვნული გმირის წოდების შემოღება, ანუ იგი საუბრობს პარლამენტის (ანუ მისი თავმჯდომარის) უუნარობაზე;

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკა დაანგარია ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებამ (ანუ ჟვანიამ);

საქართველოს პრეზიდენტი თვლის, რომ მაშინ, როცა ბალტიისპირეთი ევროკავშირში შედის, საქართველოსთვის ევროსაბჭოს წევრობაც დიდი მიღწევაა;

საქართველოს პრეზიდენტი შეგვახსენებს, რომ რადგან ჩვენი ქვეყანა ჩვენვე დავანგრიეთ (და რა შუაშია აქ ხელისუფლება?), უკეთესი შედეგების იმედი არც უნდა გვქონოდა (ანუ დამნაშავეა ხალხი).

საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ ქვეყანა ნატო-ში მხოლოდ არსებული კურსის (ვამბობ კურსს, ვგულისხმობ – ხელისუფლებას) შენარჩუნების შემთხვევაში შეაღწევს;

საქართველოს პრეზიდენტი გვიხსნის, რომ ციხეებიდან ასობით ადამიანის გაქცევა ციხეების შსს-ს მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემის ბრალია (ანუ იმ რეფორმების, რომელიც სააკაშვილის სახელს უკავშირდებოდა).

საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციას ურჩევს, არ დაწვას მასთან მისასვლელი ხიდები (რადგან სხვა გზა, შესაძლოა, მას აღარ დარჩეს, ანუ ხელისუფლებამ აღარ დაუტოვოს)...

ასეთი გახლდათ ის "მესიჯები", რომლებიც გუშინდელ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებასა და ოპოზიციას გამოუგზავნა.

ასეთი გახლავთ ის წინასაარჩევნო სტრატეგია, რომელიც სახელისუფლებო ბლოკს აქვს არჩეული:

საქართველოს პრეზიდენტი დღეს ვეღარ ამბობს, რომ ფრთების ერთი "ატყლაშუნება" საკმარისია მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცეების დასაპყრობად;

საქართველოს პრეზიდენტი თავადაც კი ვეღარ ხედავს სინათლეს გვირაბის ბოლოს – ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისი მას ამის საშუალებას აღარ აძლევს.

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ერთადერთი მიღწევის – წარუმატებელი, თუმცა, დიდი ბრძოლის ფასად "გატანილი" რეფორმების შედეგების გადახედვას ითხოვს, ანუ – ტოტალიტარული წარსულისკენ დახევას... (გაიხსენეთ საპრეზიდენტო სინანული სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და არაერთგზისი მოთხოვნები ხალხის დაჭერის თაობაზე...)

საქართველოს პრეზიდენტი, ჩანს, ამ გზით ფიქრობს ხელისუფლების შენარჩუნებას.

ამ გზაზე ერთადერთი წინაღობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს და მის ბლოკს შეიძლება კიდევ გადაეღობოს – ხალხის აზრია – 2 ნოემბერს საარჩევნო ყუთთან მისული ხალხისა, თუმცა... მოსალოდნელი (ნებისმიერი) არჩევნების გამოც გულწრფელად მეცოდება მუდამ დამნაშავე, ყველასაგან თავმობეზრებული და არაერთგზის მოტყუებული ხალხი, დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის ერთი კრებითი სახელით მოხსენიებული - "ამომრჩეველი".

შავიშვილის მნიშვნელოვანი მისია

სოფო ბუკია

საბურთალოს მაჟორიტარ კანდიდატად "ახლებმა" ოფიციალურად წარადგინეს კონტროლის პალატის ყოფილი შეფი რევაზ შავიშვილი. შავიშვილი გუშინ პირველად შეხვდა თავის ამომრჩეველს.



კონტროლის პალატაში რვაწლიანი სტაჟის მიუხედავად, მაჟორიტარობის კანდიდატი საკმაოდ ღელავდა.

"რეზო, მე ვიცნობ შენს გუნდს, შენ იცნობ ჩემს გუნდს. მოდი, ვითანამშრომლოთ..."

"დათო, მზად ვარ, გავაერთიანოთ ჩვენი პარტიები..." – ეს დიალოგი "ახლების" ლიდერ დავით გამყრელიძესა და "ლიბერალური" პარტიის შეფს რევაზ შავიშვილს შორის შედგა. პროფკავშირების კულტურის სახლში გუშინ შემდგარი ღონისძიება ამ დიალოგის ლოგიკური შედეგი გახლდათ. "ახლებმა" ოფიციალურად დაასახელეს საბურთალოს რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად კონტროლის პალატის ყოფილი შეფი რევაზ შავიშვილი. "პროფესიონალი, პატიოსანი, პოლიტიკურად დაღვინებული," – თანაგუნდელთაგან მსგავსი ეპითეტებით დაჯილდოვებულმა შავიშვილმა პირობა დადო, რომ საბურთალოს დეპუტატად არჩევის შემთხვევაში ამ რაიონში მცხოვრები თითოეული ოჯახის ტვირთს გაიზიარებს. გადაჭედილი კულტურის სახლის აუდიტორიის წინაშე შავიშვილის პიროვნულ თუ პროფესიონალურ ღირსებებზე და "ახლების" სამოდავლო გეგმებზე სასაუბროდ მიკროფონს ერთმანეთს ეცილებოდნენ "მთავარი ახლები" - დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ვახტანგ ხმალაძე, დათო საგანელიძე და სხვები. "ახლების" ლეგენდარული 900-დღიანი პროგრამის შესახებ ინფორმაცია საბურთალოს მოსახლეობამ გუშინ "ლაივში" მოისმინა.

თავად მაჟორიტარობის კანდიდატი საკმაოდ ღელავდა. კონტროლის პალატაში რვაწლიანი სტაჟის მიუხედავად, "ახალი ლიბერალი" მიიჩნევს, რომ ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვან მისიას უნდა გაართვას თავი.

"რეზო შავიშვილის პასუხისმგებლობა გადაწონის ვიტალი ხაზარაძის უპასუხისმგებლობას," – "დიდი ხნის წინ აკვიატებული ფრაზა" გაანდო საბურთალოელებს ლევან გაჩეჩილაძემ. ხაზარაძის ხსენებამ დარბაზი გაამხიარულა, გაჩეჩილაძეს კი მქუხარე აპლოდისმენტები ერგო. პროფკავშირების კულტურის სასახლეში გუშინდელი შეხვედრა საკმაოდ მაჟორულად დასრულდა. მას შემდეგ, რაც დავით საგანელიძემ შავიშვილის ამომრჩეველი ერთი-ორი ენამოსწრებული ფრაზით გაამხიარულა, "ახლებმა" დარწმუნებით აღნიშნეს, რომ 3 ნოემბერსაც აუცილებლად ხუმრობის ხასიათზე იქნებიან. მანამდე კი, "ახლები" საბურთალოელებს შეჰპირდნენ, რომ არჩევნებამდე თავს არ დაანებებენ და მოსახლეობას სისტემატურად შეხვდებიან.

შავიშვილის საბურთალოელ კონკურენტებად, სავარაუდოდ, "ნაციონალი" გივი თარგამაძე და "დემოკრატი" ზურაბ ჟვანია მოგვევლინებიან. ვინ ეცდება საბურთალოელთა გულის მონადირებას სახელისუფლებო ბლოკიდან, ჯერჯერობით, უცნობია.

„იტერა„ ნელ-ნელა გვემშვიდობება

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ქსელში სრული განუკითხაობაა. ამას ისიც ემატება, რომ 30 სექტემბერს "თბილგაზში" მართვის უფლებით უკვე ოფიციალურად შედის საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ხელდასხმული კომპანია – ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტი."

შეგახსენებთ, რომ ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" წევრები არიან გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მთავარი ინჟინერი ნოდარ გობიანიძე და საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ნოდარ ნებიერიძე, ასევე, გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორის მოადგილე იური შიუკაშვილი.

ამდენად, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" მიღმა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ინტერესები იკვეთება. ამას ისიც ადასტურებს, რომ "ახალი ამხანაგობა" გაზის კორპორაციისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელთა მიერ არის ჩამოყალიბებული. ეს უკანასკნელი კი, რომელსაც ირაკლი კიზირია ხელმძღვანელობს, გაზის საერთაშორისო კორპორაციის შვილობილი კომპანიაა.

მერიაში უკვე "თბილგაზის" მომავალი დირექტორატის შემადგენლობაზეც საუბრობენ. წინასწარი ინფორმაციით, "ახალი მენეჯმენტის" მიერ მენეჯერის უფლებამოსილების გადაბარებისთანავე, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ყოფილი მთავარი ინჟინერი, "ახალი მენეჯმენტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ნოდარ გობიანიძე დაინიშნება, ხოლო დისტრიბუციის მენეჯერი ლევან ფურცელაძე გახდება.

რაც შეეხება "თბილგაზის" ძველი ვალების საკითხს, რომელიც ასე აწუხებდა კომპანიას, ჯერჯერობით, მოუგვარებელია. "თბილგაზის" მომავალი გენერალური დირექტორი ნოდარ გობიანიძე ვარაუდობს, რომ ამ ვალების საკითხი "ახალი მენეჯმენტის" "თბილგაზში" შესვლის შემდეგ წამოიწევს და, სავარაუდოდ, მათი რესტრუქტურიზაციის საკითხი დაისმება.

ცნობისათვის: "თბილგაზის" ძველი ვალები ჯერ კიდევ კისერზე აწევს ბიუჯეტს. თბილისის მერიას "იტერასთვის" თებერვალში გადახდილი თანხის ნაწილი ფინანსთა სამინისტრომ რის ვაივაგლახით გაასტუმრებინა (ეს თანხა "თბილგაზმა" მაშინ "თი-ბი-სი" ბანკისაგან ისესხა ("თბილგაზს" "თი-ბი-სი ბანკისთვის ამჟამად 325 ათასი ლარი დარჩა გადასახდელი).

„სახელმწიფო მინისტრი და ფინანსთა მინისტრი პრეზიდენტს ატყუებენ„

პირველი გვერდიდან

როლანდ გილიგაშვილის განცხადებას პრეზიდენტი დააკმაყოფილებს, რადგან, არსებული ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრი მის მიერ მიღებული კატეგორიული გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ამის თაობაზე ცნობილია ედუარდ შევარდნაძისთვისაც.

გთავაზობთ ინტერვიუს იუსტიციის ყოფილ მინისტრთან როლანდ გილიგაშვილთან.

- ბატონო როლანდ, რატომ მიიღეთ ახლა ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება?

- იცით, ჩემთვის მორალი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობა. ბოლო გაქცევის შემდეგ გადაწყვეტილება საბოლოოდ მივიღე. როცა ჯონი ხეცურიანი გადადგა, მაშინ ვთქვი, არ უნდა გადამდგარიყო, საკუთარი ძალები ბოლომდე უნდა მოესინჯა-მეთქი. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ ვცდებოდი. საქმე ისაა, რომ, როცა ჩემი მინისტრობის დროს პირველი, მეორე გაქცევა მოხდა, რადიკალური ნაბიჯების გადადგმა დავიწყე, სუფთა ენთუზიაზმზე კეთდებოდა საქმე, მაგრამ შიშველი ხელებით ამ სისტემაში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. იმ ფინანსებსაც კი არ გვაძლევდნენ, რაც გვეკუთვნოდა. ძალიან მიკვირს, როცა მოვლენების რეალურად შეფასება არ ხდება, არაერთხელ განმიცხადებია და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პენიტენციალურ სისტემაში დღეს გაუსაძლისი სიტუაციაა.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი გადადგომა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალია?

- მე ვიბრძოლებ, რომ მივიდე პარლამენტში, სადაც გაცილებით მეტი საშუალება, მაღალი ტრიბუნა მექნება იმისთვის, რომ დღევანდელი მთავარობის მსგავსი მთავრობა არ ჩამოყალიბდეს. ეს მთავრობა რაღაც გაუგებარ პრინციპებზეა აწყობილი. დაუშვებელია, მაგრამ დღეს ასეთი სიტუაციაა - ერთ მინისტრს უხარია მეორე მინისტრის ცუდი, არ არსებობს გუნდურობის პრინციპი. პარლამენტში ვიყავი კომიტეტის თავმჯდომარე და წამოვედი იმიტომ, რომ მაინტერესებდა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყო თუ არა იმის საშუალება, რომ ხალხის ცხოვრება გაუმჯობესებულიყო, სახელმწიფოს წინსვლა მომხდარიყო. არადა, აქ ერთმანეთის მტრობის გარდა, ვერაფერი დავინახე. მტრობაა, აბა, რა ჰქვია, როცა მინისტრი გწერს ამდენ წერილს, გეხვეწება, გვიშველე, თავზე გვენგრევა სისტემაო და რეაგირება არ ხდება. როცა ბიუჯეტს ადგენთ, ჩვენც დაგვიძახეთ-თქო, - ვთხოვდით, მაგრამ არ გვეძახდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებთ ამას. ყველა ჩვენი თხოვნა და წინადადება დაიბლოკა. გვქონდა პროექტი პატიმართა დასაქმების თაობაზე, ინვესტორებისთვის საშეღავათო პირობების ჩამოყალიბების წინადადება წამოვაყენეთ, კატეგორიული უარი მივიღეთ. ამის შემდეგ რაზე ღირს საუბარი.

- ბატონო როლანდ, ციხეში შინაგანი ჯარის ჩაყენებას თქვენც უჭერთ მხარს.

- ამ ეტაპზე ეს აუცილებელია. გაქცევების თავიდან აცილების თვალსაზრისით, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, თუ ეს არ გაკეთდება, მაშინ იცოდეთ, რომ განხორციელდება ზოგიერთთა სურვილი და პენიტენციალური სისტემა მართლაც დაუბრუნდება პოლიციას. კანონში აუცილებლად უნდა განისაზღვროს ვადა, თუ რა ვადით დაიცავს შინაგანი ჯარი სისტემას, ხოლო ამ პერიოდში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ იუსტიციის სამინისტრომ შექმნას ცალკე შეიარაღებული ძალა, რომელიც ამ სასჯელაღსრულებით სისტემას დაიცავს.

- გაკეთდა განცხადებები პენიტენციალური სისტემის კვლავ შსს-სთვის დაბრუნების თაობაზე, რას იტყვით ამის შესახებ?

- არავითარ შემთხვევაში, ეს წარმოუდგენელია. ამ საკითხზე ცალსახად უარყოფითი აზრი მაქვს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები გაგვაჩნია, იმიტომაც, რომ თუ გვინდა, საქართველო მართლაც ევროპულ სახელმწიფოთა რიგში იმყოფებოდეს, თუ გვინდა ვიყოთ ნატო-ს ინტეგრაციაში, მაშინ ამაზე საუბარიც კი დაუშვებელია. როცა პენიტენციალური სისტემა იუსტიციის სამინისტროს გადმოეცა, სახელმწიფოს მაშინვე უნდა მიეღო ზომები, რომ მთელი ინფრასტრუქტურა გამართული ჩაგვბარებოდა. სწორედ გუშინ იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ 1600 თანამშრომელზე ნაკლები ჩავიბარეთ, არ გადმოგვეცა მთელი რიგი ყაზარმებისა, არადა, ასე არ უნდა მომხდარიყო. ყველა სხვა ქვეყანაში ეს პროცესი სრულყოფილად განხორციელდა. მაგალითად, აზერბაიჯანში პენიტენციალური სისტემა იუსტიციის სამინისტროს შინაგანი ჯარით გადაეცა.

- თქვენ აცხადებდით, რომ პენიტენციალური სისტემის დალაგება გარკვეულ გარე ძალას ხელს არ აძლევდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ გარე ძალაში სახელმწიფო მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს გულისხმობთ, რამდენად ეთანხმებით ამ ინფორმაციას?

- ჯორბენაძე პასუხისმგებლობის შესახებ საუბრობს, არადა, როგორ შეუძლია მას ვინმეს პასუხისმგებლობის შესახებ ილაპარაკოს, როცა კაცმა ფისკალური პოლიტიკა ჩააგდო. ჯორბენაძე და ფინანსთა მინისტრი პრეზიდენტს ყოველ თვე ატყუებდნენ, გეგმა სრულდებაო და იმასაც არ გვაძლევდნენ, რაც გვეკუთვნოდა. პენიტენციალური სისტემა ერთი თეთრითაც არ დაფინანსებულა, ამიტომაც დაინგრა აქაურობა და ამიტომაც ხდებოდა მასობრივი გაქცევები. და ამ ყველაფერში, თურმე, მარტო გილიგაშვილია დამნაშავე. რა გავაკეთე და რა დავაკელი ამ სისტემას - თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა შეაფასოთ, ამაზე ვერ ვისაუბრებ. მაგრამ ვიტყვი, რომ რაც შემეძლო, იმის მაქსიმუმს ვაკეთებდი შიშველი ხელებით, დაფინანსების გარეშე. ნახეთ ფინანსთა სამინისტროში და სახელმწიფო მინისტრთან გაგზავნილი ჩემი სათხოვარი წერილების რაოდენობა, არც ერთ მათგანზე რეაგირება არ მომხდარა. მეტიც, პრეზიდენტი რეზოლუციას ადებდა ჩემს თხოვნას და ის არ სრულდებოდა, იბლოკებოდა. ამის შემდეგ რაღაზე უნდა ვილაპარაკო. პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს პენიტენციალურ სისტემას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი სხვა ჩინოსნებზე, რომლებიც სისტემატურად იღებდნენ დავალებებს პრეზიდენტისაგან, მაგრამ, როგორც გითხარით, არც ერთი საკითხი არ გადაწყვეტილა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ასეთი სავალალო სიტუაციაა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები დღეისათვის გაპარტახებულია, იქ არ არის არც დაცვის, არც სასჯელის მოხდის და არც დაწესებულების თანამშრომელთა მუშაობის ელემენტარული პირობები. როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იქ ვერაფერს გავხდებოდი, გადავდექი, რადგან ასეთ ვითარებაში ჩემი ზნეობა არ მაძლევს უფლებას, საზოგადოებას თავისუფლად შევხედო თვალებში.

ნაბიჯით იარ - უკან!

პირველი გვერდიდან

სასჯელაღსრულების დაწესებულებების იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემა დაასახელა, რის გამოც, მისი თქმით, პოლიციას პატიმრებთან ოპერატიული მუშაობის საშუალება მოესპო. კიდევ უფრო გასაკვირი ის გახლდათ, რომ ამ წამოწყებას საქართველოს პრეზიდენტმაც აუბა მხარი, თუმცა, არც ისე კატეგორიულად – პენიტენციალურ სისტემაში ჩატარებულ რეფორმას მან მაშინ მხოლოდ ნაჩქარევი უწოდა.

მაშინ ციხეებიდან პატიმრები ჯერ კიდევ კანტიკუნტად, გამონაკლისის წესით გარბოდნენ. სამაგიეროდ, სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ციხიდან, ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდების ულტიმატუმის შემცველი წერილის სახით, როლანდ გილიგაშვილის იუსტიციის მინისტრის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნას მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცვლილება მოჰყვა. ხელმძღვანელობის შეცვლა და საპატიმრო ადგილებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევების დაწყება საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს. დღევანდელი მონაცემებით კი, საკუთარი ნებით ციხის კედლებიდან თავდამღწევთა რიცხვმა, ბოლო ექვსი თვის მანძილზე უკვე 188 შეადგინა.

როლანდ გილიგაშვილი კი, ყველა ამ მოვლენის პარალელურად, დაჟინებით ითხოვდა კუთვნილი საბიუჯეტო თანხების გადარიცხვას, მაგრამ ამაოდ. ამბობენ, რომ ხელისუფლების მხრიდან სასჯელაღსრულების სისტემისადმი გამოჩენილი უყურადღებობის მიზეზი თავად გილიგაშვილი იყო, რადგანაც იმავე ხელისუფლების მაამებლობაზე იგი, როგორც წესი, ნაკლებად ზრუნავდა. სხვათა შორის, პენიტენციალური სისტემის მიმართ უყურადღებობა გუშინდელ რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემაც აღიარა, ოღონდ ისე, კომუნისტებისდროინდელი ბალანსის დაცვით – ცოტა თვითკრიტიკა, ბევრი კრიტიკის საპირწონედ.

„უმძიმესი შეცდომა იყო თავის დროზე სასჯელაღსრულების შესაბამისი დაწესებულებების გამოყოფა შს სამინისტროსგან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ობიექტის მაინც. მათი გადაცემა სრულიად მოუმზადებელი იუსტიციის სამინისტროსადმი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყანას არ სჭირდება რეფორმა, რომელიც სიტუაციას კი არ გააუმჯობესებს, არამედ გაუარესებს... იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელებმა თავი ვერ გაართვეს უამრავ პრობლემას, რომელიც სისტემაში ბოლო დროს დაგროვდა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვერც სათანადო დახმარება და განსაკუთრებით, ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს ხელისუფლებისაგან, ესეც ფაქტია," - ასეთი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი კომენტარი, რომელიც მან იუსტიციის მინისტრთან როლანდ გილიგაშვილთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ამ შეხვედრაზე გილიგაშვილმა ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლისთვის დიდი ხნის ნანატრი განცხადება გააკეთა: პრეზიდენტს გადაგომის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება ამცნო.

გუშინვე ალაპარაკდნენ იუსტიციის მინისტრის ვაკანტურად დარჩენილი თანამდებობის მომავალ პრეტენდენტებზე. ასეთებად, ძირითადად, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს მარიამ ცაცანაშვილს და იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტს პაატა ცნობილაძეს ასახელებენ. სხვათა შორის, ეს გვარები იუსტიციის მინისტრობის სავარაუდო, გნებავთ, ხელისუფლების სასურველ კანდიდატებად, კარგა ხანია, მას შემდეგ სახელდება, რაც სახელმწიფო მინისტრმა, სხვა, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, როლანდ გილიგაშვილი საკუთარ ამალაში ვერ დაიგულა და მათ შორის არსებული უთანხმოება გახმაურდა. როგორი იქნება პრეზიდენტის არჩევანი, რომელსაც პარლამენტის დასტურის გარეშე მხოლოდ მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა ძალუძს, ჯერჯერობით, უცნობია. ასევე უცნობია, რა ბედი ეწევა პენიტენციალური სისტემის დასავლურ თარგზე აჭრილ, საქართველოს პრეზიდენტის მიერ კი "სიტუაციის გამაუარესებლად" მონათლულ რეფორმას. ერთი რამ კი ცხადია – ედუარდ შევარდნაძე ნოსტალგიის გრძნობით იხედება უკან და სასჯელაღსრულების ინსტიტუტის იმ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც მხოლოდ სოციალისტური სამყაროსთვისაა მისაღები. ხვალ მან შესაძლოა, სინანულით გაიხსენოს პროკურატურის სასამართლოზე ზედამხედველობა, ზეგ – სიკვდილით დასჯის აღდგენა მიიჩნიოს საჭიროდ, მაზეგ – თავად განსაჯეთ...

ზურაბ ჟვანია „თავდასხმაზე„ გადადის

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი პირველი საფუძველი, რაც საფუძვლად დაედო მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვას, გახლდათ აკადემიკოს მერაბ ალექსიძის და მისი გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოკვლევა. სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ ამ ინსტიტუტმა მოახდინა მთელი ამიერკავკასიის ახალი სეისმური ზონირება და ის ტერიტორია, სადაც შენდებოდა ხუდონჰესი, სახელდობრ, ცაიშის მიმდებარე ტერიტორია 8-ბალიან ზონაში აღმოჩნდა, ანუ სეისმური ზონირება ერთი ბალით გაიზარდა. ეს ნიშნავს იმას, რომ პროექტი, რომელიც გათვლილი იყო, თუ არ ვცდები, 7 ბალზე, ავტომატურად 8-ბალიან ზონაზე უნდა გადაანგარიშებულიყო. ეს ითხოვდა პროექტის ხელახალ დამუშავებას, უფრო მტკიცე კაშხლის გაკეთებას. მეორე პრობლემა იყო გეოლოგიური ხასიათის, რომელზე საუბრითაც ახლა არ დაგღლით. ანუ ეს ნიშნავს, რომ კაშხლის ძველი პროექტით აშენება წალეკვის საშიშროებას უქმნიდა მთელ სამეგრელოს.

გავიხსენოთ, როგორ შეჩერდა მშენებლობა – დაბა ჯვარში თორნიკე ფიფიამ ჩაატარა მიტინგი, რომელზეც მოიწვიეს ნოდარ ჭითანავა და სწორედ იმ მიტინგზე, რომელზეც მე, სხვათა შორის, არ ვესწრებოდი, ჭითანავამ მშენებლობის შეჩერების პირობა დადო.

**მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გადაწყვეტილება ხუდონჰესის მშენებლობის დახურვის შესახებ მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ნოდარ ჭითანავას ხელმძღვანელობით, 1989 წლის ივნისში. მინდა, ნებისმიერ ჩემს ოპონენტს დავუსვა შეკითხვა: რომელიმე კოოპერატიული სახლის მშენებლობა თუ დასრულებულა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ?! 1989 წლის ივნისისთვის, როდესაც საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მშენებლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, შესრულებული იყო სამუშაოების, დაახლოებით, 40 პროცენტი. საბჭოთა "გოსპლანის" მიხედვითაც კი, ხუდონჰესის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 1995 წელს, იმ შემთხვევაში, რომ არ დაშლილიყო საბჭოთა კავშირი და ამისთვის მოსკ

ორი სიტყვით

თბილისი. დაახლოებით ერთ თვეში, შოტლანდიაში შეიკრიბებიან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოთა წარმომადგენლები და სამხრეთ კავკასიაში არსებული პრობლემების ირგვლივ იმსჯელებენ. განსახილველ საკითხთა ნუსხა საკმაოდ ვრცელია და მრავალ თემას მოიცავს. საუბარი იქნება როგორც რეგიონში მშვიდობის აღდგენის პერსპექტივაზე, ისე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ ყოლბაიას თქმით, შეხვედრა ყარაბაღის კონფლიქტის განხილვით დაიწყება. ამ საკითხზე ცალკეული გამოსვლების შემდეგ, თავის დასკვნებს წარმოადგენენ ექსპერტები და მიღებული იქნება გარკვეული რეკომენდაციები.

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის №1 წევრი, ვაჟა ლორთქიფანიძე ახალი ინიციატივით გამოდის. მას სწადია, ქვეყანაში არსებული დაძაბულობა გაანეიტრალოს და არჩევნების წინ შექმნას სტაბილური გარემო, რომელიც არჩევნების დემოკრატიულობას უზრუნველყოფს.

"დესტრუქციულ ძალებს არ მივცემთ შესაძლებლობას, რომ საარჩევნო პროცესის სტაბილურობა და ობიექტურობა ეჭვქვეშ დააყენონ," - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს გეგმავს ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

■ ■ ■

თბილისი. თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გიული გუშინ საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. მას თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა სოლიდური დელეგაცია ახლავს. ორდღიანი ვიზიტისას, აბდულა გიული საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძესა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება.

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მომდინარე წლის 20 სექტემბერს ცხინვალში არ გამართოს "დამოუკიდებლობის დღისადმი" მიძღვნილი, ტრადიციული სამხედრო აღლუმი. სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის განცხადებით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ "რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე კარმადონსკის ხეობაში მომხდარი ტრაგედიის წლისთავს ემთხვევა, როცა ერთი წლის წინ მყინვარ კოლკას ჩამოწოლის შედეგად ხალხი დაიღუპა". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბლოკ "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტში" შემავალი "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი პოლიტიკურ მოძრაობას "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ხელისუფლების დანამატს უწოდებს. მისი თქმით, "მრეწველები" მთავარ გამყალბებელ ორ ძალასთან არის შეკრული, ეს არის სახელისუფლებო ბლოკი და ბათუმური "დემოკრატიული აღორძინების კავშირი". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმი არ დაეთანხმება თბილისის წინადადებას - აშშ-ს, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის მსგავსად, თურქეთიც ჩართული იქნას აფხაზეთის დარეგულირების საკითხში, "გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა" რიგში, - განაცხადა აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ, 15-16 სექტემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულა გიულის საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის კომენტარებისას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ვილნიუსი. ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ლიტვის საკონსულო გაიხსნება, რომელიც ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას მოემსახურება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ორგანიზაცია - "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი" - ზუგდიდის განყოფილების ხელმძღვანელის, სოსო ლაგვილავას დროებითი დაკავების გამო, უშიშროების სამინისტროსა და შევარდნაძის ხელისუფლებას სდებს ბრალს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე სამშვიდობო ძალების კუთხით, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ევნევიჩი საქართველოში რუსეთის "ცისფერრაფუტიანთა" ქვედანაყოფების გეგმიურ ინსპექტირებას ახდენს. აფხაზეთში ქართველ სამშვიდობოთა წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ვიცე-პოლკოვნიკ ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ორშაბათს ვალერი ევნევიჩმა ზუგდიდში საქართველოს გენშტაბის მეთაურის მოადგილესთან, გენერალ-მაიორ თენგიზ ოშხერელთან შეხვედრისას, კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" აცხადებს, რომ კვლავ დგას დღის წესრიგში "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირთან" საარჩევნო ბლოკის შექმნის საკითხი, თუმცა საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლასაც არ გამორიცხავს. **პრაიმ-ნიუსი**

„სკანდალი ამოწურულია„ - აცხადებენ ცესკო-ში

თამარ მჭედლიშვილი

პარტიებისთვის საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებული სკანდალი დასრულდა. გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხმათა უმრავლესობით კენჭი უყარა და მიიღო კიდეც დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, მაუწყებლობებმა ყოველი კვირის ორშაბათს, არაუგვიანეს საღამოს ექვსი საათისა ცესკო-ს უნდა წაურდგინონ საარჩევნო სარეკლამო საეთერო დროის განაწილების გრაფიკები და ტარიფები. სიტყვები "დაუშვებელია" და "იკრძალება" ამ დადგენილებაში არსად ფიგურირებს.

ლევან სარიანიძის ფოტო

ცესკო-მ სკანდალი დაასრულა.

სკანდალი 25 აგვისტოს დაიწყო. იმ დღეს ძველი შემადგენლობის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ერთ-ერთი თავისი უკანასკნელი დადგენილება, რომლის თანახმად, არჩევნებამდე 50 დღით ადრე კერძო ტელე და რადიომაუწყებლობებს ეკრძალებოდათ "საარჩევნო სუბიექტის საქმიანობის ამსახველი რეპორტაჟების საგიტაციო დანიშნულების კომენტარებით გაშვება"; "არასათანადო საეთერო დროს" იკრძალებოდა პარტიების წარმომადგენელთა ისეთი ინტერვიუებისა და გამოსვლების გადმოცემა, რომელიც "საგიტაციო ხასიათის" იყო; იკრძალებოდა პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით საინფორმაციო-გასართობი გადაცემების გაშვებაც და ა.შ.

ბუნებრივია, ცესკო-ს ამ დადგენილებას მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა. ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც "საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური ანგაჟირების ერთ-ერთი სერიოზული საბუთი". ასე, მაგალითად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" დარწმუნებული იყო, რომ **"ცესკო-ს დადგენილება "საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ" პირდაპირ ზღუდავდა ამომრჩევლის უფლებას - მიეღო ზუსტი და სათანადო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც იგი გააკეთებდა არჩევანს; ზღუდავდა საარჩევნო სუბიექტებს - გაევრცელებინათ თავიანთი კამპანიის მიმართვა ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ზღუდავდა მასმედიის უმთავრეს უფლებას - მიეღო და გაევრცელებინა ინფორმაცია".**

ამის მიუხედავად, 25 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ კომისიამ ეს დადგენილება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიიღო. მაშინ ილია გეგენავამ "24 საათს" საარჩევნო კოდექსის ის მუხლებიც დაუსახელა, რომელიც სამაუწყებლო კომპანიებს არჩევნების პერიოდში განსაზღვრულ შეზღუდვებს უწესებდა.

და მაინც – არასამთავრობო ორგანიზაციათა და მედიის ინიციატივით, ცესკო-ს 25 აგვისტოს დადგენილება სასამართლოში გასაჩივრდა და მალევე გაუქმდა. გუშინ კი ცესკო-მ, როგორც უკვე ვთქვით, ახალი დადგენილება მიიღო, რომელიც საკმაოდ "მშვიდობიანია", სულ რამდენიმე წინადადებას შეიცავს და ასე ჟღერს:

"საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

სახელმწიფო და არასახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოადგინონ წინასაარჩევნო აგიტაციის, პოლიტიკური რეკლამის საეთერო დროის განაწილების გრაფიკები და ტარიფები ყოველკვირეულად, არაუგვიანეს ორშაბათს 18 სთ-სა..."

ამავე დადგენილების თანახმად, ცესკო-ში სარეკლამო ტარიფების შესახებ ცნობების წარმოდგენა გაზეთებსაც თამამად შეეძლებათ.

"**ნორმალური დადგენილებაა. უკმაყოფილონი არ ვართ,"** - განუცხადა სხდომის დასრულებისთანავე "24 საათს" "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა ნუგზარ კუპრეიშვილმა.

ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განმარტებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია არ ჩაერევა დროის განაწილებასა და ტარიფების დადგენაში. **"სარეკლამო დროის მიღმა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა შესაძლოა, სააგიტაციოდ პირდაპირი ეთერის გამოყენება სცადონ. ასეთ დროს წამყვანმა მათ შენიშვნა უნდა მისცეს. თუკი პოლიტიკოსი კვლავ გააგრძელებს აგიტაციას, პასუხისმგებლობა უკვე მას დაეკისრება,"** – განუცხადა დევდარიანმა ჟურნალისტებს.

ცესკო-ს გუშინდელი გადაწყვეტილების თანახმად, ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი ცესკო-ს პრესსამსახურს დაეკისრება. ხოლო უახლოეს დღეებში შეიქმნება პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება და მედიაზე კონტროლს სწორედ იგი იტვირთებს.

"თუ განყოფილების შექმნა გაამართლებს, მაშინ 2004 წლის ბიუჯეტში შეიძლება მისი ხარჯების გათვალისწინება; თუ არა და, იგი არჩევნების შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება," - აცხადებს დევდარიანი.

ნინო ბურჯანაძე: „რომ გავერთიანებულიყავით, ძლიერი ოპოზიცია იქნებოდა"

ბექა სისაური
ქუთაისი

ნინო ბურჯანაძემ ქუთაისში წინასაარჩევნო კამპანიის აქტიური ფაზა დაიწყო. გუშინ იგი ქუთაისის რამდენიმე უბანში ჯერ მოსახლეობას შეხვდა, შემდეგ კი ოპერის თეატრში სტუდენტ ახალგაზრდობას საკუთარი საარჩევნო პროგრამის ძირითადი თეზისები გააცნო.

ბურჯანაძის გააქტიურება ქუთაისში კომუნალური პრობლემების გამწვავებას დაემთხვა. ქალაქს რამდენიმე დღეა, შუქი და წყალი, ფაქტობრივად, არ მიეწოდება. გვიანდება პენსიების გაცემაც, რის გამოც მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს. აღნიშნულ ფონზე პარლამენტის თავმჯდომარისთვის განსაკუთრებით რთული მოსახლეობასთან ღია შეხვედრები გახლდათ. **"ჩვენთან ბევრი კანდიდატი მოსულა, ყველას მოვუსმინეთ, მაგრამ მათ, დაპირებების შესრულების ნაცვლად, გაჭირვებული პენსიონერები მიწასთან სულ მთლად გაგვასწორეს. ახლა აღარავის იმედი არა გვაქვს,"** - აცხადებდა ჭავჭავაძის ქუჩაზე ბურჯანაძის მომლოდინე ერთ-ერთი პენსიონერი. იქ შეკრებილი მოსახლეობის უმეტესობა კი პოლიტიკოსებისა და არჩევნების მიმართ უნდობლობასა და ნიჰილიზმს გამოხატავდა. თავად ბურჯანაძეს მოსახლეობის ასეთი განწყობა არ გაჰკვირვებია: **"მთელი კვირაა ქუთაისში შუქი არ არის, კორპუსებში რამდენიმე დღის მანძილზე წყალი არ მოდის. ცხადია, მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს, აბა რას იზამს? როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ხალხისგან პროტესტიც აღარ უნდა მოვისმინოთ?... კარგად ვიცი, ქუთაისში რა უჭირთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინდა მაქსიმალურად მეტ ხალხს შევხვდე და პრობლემების შესახებ მათგან შევიტყო. ამავე დროს, მსურს მათ აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად ჩემი ხედვაც გავაცნო,"** -განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვდრისას ბურჯანაძემ. ქუთაისის სხვადასხვა უბნებში შეხვედრებისას პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნა ელემენტარული ყოფითი საკითხების მოგვარება გახლდათ. ბურჯანაძე კი აღნიშნული პრობლემების მოგვარების წინაპირობად მოსახლეობას არჩევნებზე მისვლას სთხოვდა.

"მე მოვედი თქვენთან, რომ გთხოვოთ: არ დაკარგოთ იმედი და ხელი არ ჩაიქნიოთ. შექმნილი ვითარების ერთადერთი გამოსწორება არის არჩევნები. თუ თქვენ იტყვით, რომ მაინც არაფერი გვეშველება და აზრი არა აქვს არჩევნებზე მისვლასო, თქვენ იმავე მდგომარეობაში დარჩებით. თუ მოგწონთ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკი, ჩვენ მოგვეცით ხმა. თუკი ჩვენ ვერ მოვახერხებთ თქვენს დარწმუნებას, მაშინ სხვას მიეცით ხმა, ოღონდ მიდით არჩევნებზე," - ასე ცდილობდა ბურჯანაძე ქუთაისელებში არჩევნებისადმი ნიჰილისტური განწყობილების შეცვლას.

ამავე დროს, პარლამენტის თავმჯდომარე მოსახლეობას არწუნებდა, რომ მარტო ერთი მაჟორიტარი პარლამენტში ვერაფერს შეცვლის. რეალური შედეგების მიღწევის აუცილებელ პირობად მან "გაერთიანებული დემოკრატების" გამარჯვებაც დაასახელა.

"მე და ჩვენი გუნდი მოვალთ თუ არა ხელისუფლებაში, გადავაყენებთ მთავრობას. რამდენიმე თვეშია შესაძლებელი ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დაფარვაც, და ეტეპობრივად მათი მომატებაც შეიძლება... მე ჩავთვალე, რომ ქუთაისს სჭირდება შველა. თუ დამიდგებით გვერდით, ბევრად უფრო მალე გავაკეთებ საქმეს, თუ არადა, ქუთაისისათვის მაინც ვიბრძოლებ, მაგრამ საქმის გაკეთება ძალიან გამიჭირდება," - აცხადებს ბურჯანაძე. მოსახლეობასთან შეხვედრისას კი ერთ-ერთმა ქალბატონმა, პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბრისას დანანებით აღნიშნა, რომ მას მხოლოდ ბურჯანაძისა და "ნაციონალების" მიმართ აქვს სიმპათია და ვერაფერით გაურკვევია, არჩევნებზე რომელს მისცეს ხმა. ახალგაზრდა ქალბატონი ბურჯანაძისგან მოითხოვდა, აეხსნა, თუ რატომ ვერ შეძლეს მათ გაერთიანება. **"ჩვენ, "ნაციონალები", "ტრადიციონალისტები" და "ახლები" რომ გავერთიანებულიყავით, ეს ძლიერი ოპოზიცია იქნებოდა და უფრო შევძლებდით ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ამას ზოგჯერ ჩვენ შორის არსებული კონცეპტუალური განხსვავება უშლიდა ხელს. ზოგჯერ კი - ქართველებისთვის საუკუნეების მანძილზე დამახასიათებელი ამბიციურობა. ამჯერად ოპოზიციური პარტიები ერთ რამეში შევთანხმდით, რომ ხმები ერთმანეთს არ წავართვათ,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. დღის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარეს ოპერის თეატრში სტუდენტებმა და არასამთავრობო სექტორმა შეხვედრა მოუწყვეს, აღნიშნულ შეხვედრას "გაერთიანებული დემოკრატებიდან" ვასიკო მაღლაფერიძე ესწრებოდა. მან ქუთაისის ოპერის თეატრში საკუთარ გამოსვლას კურიოზული უწოდა, რადგან ამისათვის, თურმე, არც ხმა უწყობს ხელს და არც სმენა, თუმცა აღნიშნულ ფაქტორებს მისთვის ხელისუფლების კრიტიკაში ხელი სულაც არ შეუშლია. სეფე-სიტყვა შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს ერგო.

"მე ნამდვილად ვერ შეგპირდებით, რომ არჩევის შემთხვევაში, 2-3 თვეში ყველანაირ პრობლემას მოგიხსნით, ამას დრო და ქვეყანაში წესრიგი სჭირდება. მაგრამ გპირდებით: ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქვეყანაში კანონი კანონობდეს," - განაცხადა ბურჯანაძემ. თუმცა, ამით მას საჯარო შეხვედრები არ დაუმთავრებია. ბურჯანაძეს ავტოქარხნის დასახლებაში ელიან, შემდეგ კი ბაღდათში მიემგზავრება.

თვალსაზრისი

ქართული პოლიტიკის სოლიდარული არჩევანი

პირველი გვერდიდან

ჩუბაისის ნათურა

თბილისის "რაიხსტაგზე" რუსული ტრიკოლორი ღიად აგვისტოში აღიმართა. ერთი კვირის ინტერვალით ქანთარიას და ეგოროვის ბერლინური ტრადიცია თბილისში მილერმა და ჩუბაისმა გააცოცხლეს. თუმცა, ბერლინისგან განსხვავებით, თბილისში დროშის აღმართვას ადამიანთა გვამებზე ჯერ არ გადაუვლია. უფრო პირიქით: დროშის აღმართვის ხელისშემწყობნი არათუ "დააგვამეს", არამედ აღმავალ კიბეებს შეუყენეს. არ ვიცი, სამწუხაროა თუ საბედნიერო, მაგრამ ფაქტი კია: "რაო ეეს"-ის მზესა და "გაზპრომის" აღზე შეფიცულებს დღეს საქართველოში ასე აჯილდოებენ.

თავად ტრიუმფატორების შემოსვლა კი საქართველოს საოცრად მალე დაეტყო: უკვე 15 აგვისტოდან "რაო ეეს"-ის კონტროლირებად თბილისში უმკაცრესი გრაფიკი დაწესდა. 1 სექტემბრიდან კი "თელასში" ოფიციალურად შესულმა "რაომ" უპრეცედენტო რამ მოიმოქმედა: ენერგიის იმპორტის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ასეთ რამეს ქართული ენერგეტიკის ისტორია ნამდვილად ძნელად თუ გაიხსენებს - ზაფხულის ბოლოდან დენის იმპორტის დაწყება უკვე ცინიზმის კატეგორიაშიც არ ჯდება. თუმცა, დღეს მათი ნება შეუვალია. ამიტომაც, თუ მოინდომეს, აუცილებლად იზამენ კიდეც: საქართველოში რუსული ენერგიის გამალებული იმპორტი დაიწყება.

დაიწყება იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა ლამისაა, წყალმა წაიღოს და ჰიდრორესურსების სიმცირეზე ლაპარაკი, უბრალოდ, სასაცილოა. დაიწყება იმის მიუხედავად, რომ საქართველოს რეგიონების უმეტესობა გადაუხდელობის გამო გამორთულია და ენერგიის დეფიციტი ნამდვილად არ არსებობს. დაიწყება იმისთვის, რომ ქვეყანამ ახალი ენერგოვალები დაიდოს და შემდეგ მათ სანაცვლოდ ჩუბაისმა ახალი ობიექტები მოითხოვოს. დაიწყება იმიტომ, რომ დღევანდელ ბაკქანალიაში ეს ენერგია კვლავ უკვალოდ დაკარგონ და შემდეგ "რამმ", გენერაციისა და დისტრიბუციის კვალდაკვალ, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის კონტროლი დაიწყოს (აკი დაგვიბარა კიდეც ჩუბაისის მარჯვენა ხელმა, ანდრეი რაპაპორტმა, მაგ სისტემებს თქვენ ვერ პატრონობთ და ჩვენი სპეციალისტები თუ უშველიანო).

ეს ყველაფერი მომავლის საქმეა. თუმცა, არცთუ შორეული მომავლის. იმ მომავლის, რომელშიც "რაო ეეს"-ი საქართველოში მარტო აღარ იქნება. მას გვერდს უფრო მძიმეწონიანი გიგანტი დაუმშვენებს, რომელიც ჩუბაისის გატკეპნილ გზაზე უკვე საკმაოდ მსუბუქად და წინაღობათა გარეშე მოაბიჯებს.

მილერის აირი

"გაზპრომიც", "რაო ეეს"-ის მსგავსად, რესურსის დეფიციტს თავის შემოსვლამდეევე ქმნის, რათა მერე უკონკურენტო მხსნელად გვექცეს. მისი შემოსვლის უზრუნველსაყოფად მის წინამორბედ "იტერას" ისევე უცერემონიოდ უპირებენ საქართველოს ბაზრიდან მოსროლას, როგორც "ეი-ი-ეს"-ი გააქანეს. ისიც ისევე ერთპიროვნულად გააკონტროლებს ქართულ გაზსადენებს, როგორც "რაო" - ქართულ ენერგეტიკას... გაგრძელებას აზრი ეკარგება - ორივე შემთხვევა აბსოლუტურად იდენტურია.

რუსული გაზგიგანტი ქვეყანაში შემოსვლას ოქტომბრიდან გეგმავს. მანამდე ისიც შვილობილებით იმყარებს პოზიციებს. და თუ დღეს "თელასის" ახალ შეფებს მხარს მისი ენერგიის იმპორტიორი "ვინგფილდი" უმაგრებს, "გაზპრომისთვის" ზურგის ქარის შთაბერვა კომპანია "ახალმა მენეჯმენტმა" უნდა უზრუნველყოს.

თავისი ნომინალური მოცემულობით "ახალი მენეჯმენტი", ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კომიკური სტრუქტურაა, რომელიც ქართულ სატენდერო გამოცდილებას ახსოვს. ოთხი ფიზიკური პირის მიერ დაფუძნებულ კომპანიას "თბილგაზის" მართვაზე გამოცხადებულ ტენდერში მხოლოდ იმიტომ გაამარჯვებინეს, რომ მის უკან "გაზპრომთან" მყარად ჩაბუდებული საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია და მისი თავკაცი, ალეკო გოცირიძე ილანდებოდნენ.

ნაკლებად გამჭვირვალე "საქგაზის" სამართავად აბსოლუტურად გაუმჭვირვალე "ახალი მენეჯმენტის" დაქირავების შედეგები უკვე ასევე თვალნათელია. იმდენად თვალნათელი, რომ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ოფიციალურ მონაცემებშიც კი ყოვლად დაუფარავად არის ასახული. მაგალითისთვის 25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ათდღიანი პერიოდიც რომ ავიღოთ, ასეთი სურათი გვექმნება: ამ დეკადაში "თბილგაზს" მოხმარებული აირის საფასურის გადასახდელად პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად ორჯერ გადაერიცხა თანხა: ერთხელ - 1 მილიონი, მეორედ - 2,5 მილიონი. ჯამში ეს 3,5 მილიონი ლარი არათუ ივლის-აგვისტოს დავალიანების დაფარვას, არამედ თანხის ავანსად დადებასაც უნდა გასწვდომოდა.

სინამდვილეში კი რა მოხდა? ივლისის 450 ათასი დოლარი მხოლოდ გაზის გათიშვის შემდეგ დაიფარა, აგვისტოს 279 ათასი კი ასევე გაზის გათიშვის მუქარის თანხლებით იფარება. ორივე ერთად, დაახლოებით, 1,5 მილიონ ლარს შეადგენს. ანუ გამოყოფილი 3,5 მილიონიდან 2 მილიონი სადღაც აორთქლებულა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისის მერი ვალის დაფარვის წყაროდ მხოლოდ ქალაქის ბიუჯეტს ასახელებს, გამოდის, რომ არა მხოლოდ 2 მილიონი, არამედ მთელი თანხა - 3,5 მილიონი გამქრალა.

ახლა არც გაზია და არც - ფული. სამაგიეროდ, არის "ახალი მენეჯმენტი" და იქნება "გაზპრომი" - ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

დუმილი, რომელიც ხმაურზე მეტია

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსული კომპანიების შემოსვლის შემდეგ ასეთი მოვლენები ისევ ჩვეულებრივ ამბად დარჩება. და ეს არც იქნება გასაკვირი: ძნელია, ამ თვალსაზრისით რაიმე გარღვევას ელოდო იმ ქვეყნის მონოპოლიებისგან, სადაც სახელმწიფო, ბიზნესი და ორგანიზებული დანაშაული ერთი მთელის განუყოფელი ნაწილებია.

სწორედ ამიტომ ჰქონდა კრიტიკული მნიშვნელობა ქართულ ბაზარზე დასავლური კომპანიების შემოსვლას. მათი მენეჯმენტის, ტექნოლოგიებისა და გამჭვირვალობის ხარისხის მოსალოდნელი იმპორტის შემთხვევაში, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში, მაგრამ მაინც შესაძლებელი იქნებოდა სისტემის სხვა საბაზისო ღირებულებებსა და სქემაზე გადაწყობა. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ეს არ ისურვა. დიახ, სწორედ ისტებლიშმენტმა მთლიანად და არა მხოლოდ - ხელისუფლებამ.

ხელისუფლებისგან სხვაგვარი ქცევა არც იყო მოსალოდნელი: დასავლეთში გაბანკროტებულ შევარდნაძის იმპერიას სხვა გზა არც ჰქონდა - ის ხელისუფლებისა და დაგროვილის შენარჩუნების ნებისმერ სხვა გარანტსაც ასევე თავფეხიანად ჩაბარდებოდა. სხვა არ გამოჩნდა და შევარდნაძეც რუსეთს ჩაბარდა იმის მიუხედავად, რომ კარგად ხედავს, როგორ მოუარეს რუსებმა ავღანეთში ნაჯიბულას (პოლიტიკურმა მტრებმა ფიზიკურად გაატყავეს), რუმინეთში - ჩაუშესკუს (დახვრიტეს), იუგოსლავიაში - მილოშევიჩს (ჰააგის ტრიბუნალი ასამართლებს) და ერაყში - ჰუსეინს (ტერორისტული ცირკულარით იძებნება).

მაგრამ, რუსული ინტერესის ლობირებაში შევარდნაძეს არც მისი ოპონენტები ჩამორჩნენ. განსაკუთრებით ისინი, ვინც თითქოს დასავლურ ორიენტირზეა "აწყობილი" და ყველაზე მეტიც იხმაურა ქვეყანაში რუსული კომპანიების შემოსვლის საწინააღმდეგოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით "ახალი მემარჯვენეები", "ნაციონალური მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" გამოირჩნენ, რომლებმაც ყველაზე მეტი აურზაური ატეხეს - როგორც ბოლოს გაირკვა, არაფრის გამო.

"ახალი მემარჯვენეები" ლამის სულაც სათავეში მოექცნენ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში "რაო ეეს"-ის შემოსვლის წინააღმდეგ გაიშალა. მაგრამ სულ მალე ეს ხმაური არანაკლებ შესამჩნევმა დუმილმა შეცვალა. არც არის გასაკვირი: რუსული ენერგიის იმპორტიორი კომპანია "ვინგფილდი" "ახალ მემარჯვენეთა" ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი იაშვილის სახელს უკავშირდება. სწორედ "ვინგფილდშია" ამჟამად დასაქმებული იმ გუნდის ნაწილი, რომელიც მანამდე კომპანია "ჯორჯიან ტრანს ექსპედიციაში" მოღვაწეობდა, საიდანაც მოვიდა კიდეც თავად იაშვილი პარლამენტში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ "რაო ეეს"-ის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესთან, ლეონიდ გოზმანთან შეხვედრის შემდეგ, "მემარჯვენეთა" რიხი აშკარად დაკარგულად გამოიყურებოდა, სადღეისოდ კი სულაც ისტორიას ჩაბარდა.

არანაკლებ რიხიანი იყო რუსული ინტერვენციის წინააღმდეგ "ნაციონალური მოძრაობაც". თუმცა, მან ისე მშვიდად უყურა და არაფერი მოიმოქმედა "თბილგაზის" ტენდერის მსვლელობის პერიოდში, თითქოს ეს ტენდერი სწორედ "გაზპრომის" შემოსასვლელად არ იყო ჩაფიქრებული. და ეს იმის მიუხედავად, რომ "ნაცმოძრაობა" დედაქალაქის საკვანძო ბერკეტებს აკონტროლებს და მის ლიდერს, საჭიროების შემთხვევაში, არ უჭირს დამუქრება, რომ უგაზობის პირობებში "თბილგაზის" შეფებს საკუთარი ხელით დამარხავს. ფაქტია, რომ "ნაციონალებს" ამ საკითხზე არავის დამარხვა აზრადაც არ მოსვლიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაერთი ხმაურიანი ამბის მოწმენი გავხდებოდით, მაგრამ ყველაფერი მკვდარი სიმშვიდით დასრულდა.

და ბოლოს, "გაერთიანებული დემოკრატები", რომლებიც, ხმაურთან ერთად, თითქოს კონკრეტული სასამართლო თუ საკანონმდებლო პროცედურების ინიცირებასაც აპირებდნენ. საამისოდ მათი ახალგაზრდა და იმედისმომცემი კადრის მიერ კონტროლირებადი ენერგეტიკის საპარლამენტო კომისიის სხდომაც გამართეს, მაგრამ აქაც ყველაფერი "ქარიშხალი ჭიქაში"-ს პრინციპით წარიმართა. ქარიშხალი ისე ჩაცხრა, რომ ჭიქა არც შეტორტმანებულა, რაც, სხვათა შორის, "დემოკრატიული" ენერგოკომისიის მუშაობას ყოველთვის ახასიათებდა. დღეს კი "დემოკრატები" ამასაც აღარ აკეთებენ და რუსული კომპანიების ინტერვენციის თემას საარჩევნო გნიასით ახშობენ.

ასე რომ, რუსული კომპანიებისთვის საქართველოს ჩუქებაში შევარდნაძე მარტო არ ყოფილა. მას ამ საქმეში ყველა თანაბრად დაუდგა გვერდით: ზოგი ფულის, ზოგი - გავლენის, ზოგი - ურთიერთობების შესანარჩუნებლად, ზოგიც - მომავალი სარგებლის იმედით; ზოგი - ხმაურით, ზოგიც - სიჩუმით და ყველა ერთად აბსოლუტური უმოქმედობით.

და ეს არ არის მხოლოდ ემოციებზე დამყარებული შეფასება: როდესაც საქართველოს ენერგობაზრის დაკარგვაზე დასავლური საქმიანი წრეების ყველაზე მძლავრი რუპორი –"უოლ სტრიტ ჯორნელი" იწყებს ლაპარაკს, ეს ნიშნავს, რომ საფრთხე იმაზე გაცილებით რეალური და საშიშია, ვიდრე ვხედავთ და წარმოგვიდგენია.

ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის

მანამდე კი თბილისის თავზე რუსული ტრიკოლორი უდრტვინველად ფრიალებს. დროშას კი, სახელმწიფო ატრიბუტიკის რიგითობის მიხედვით, თან ჰიმნიც მოჰყვება. ჰიმნი, რომლის მუსიკაც ჩვენთვის ძალიან ნაცნობია. დღეს უკვე აშკარაა, რომ რუსეთის ჰიმნად ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნი შემთხვევით არ აღუდგენიათ და მასთან ერთად ბევრი ძველი სიახლის აღდგენაც იგეგმება. თავად ჰიმნის რეანიმაცია კი რუსეთმა საქართველოს ერთხელ უკვე მიულოცა: მისი აღდგენის ჟამს, 2000 წლის დეკემბერში, სავიზო რეჟიმი დააწესა.

ახლა დროშაც აღმართეს, რაც ნიშანია, რომ საქართველოს ენერგეტიკაში ომი დასრულდა და მშვიდობა ისადგურებს. ის მშვიდობა, რომლისაც ომზე მეტად უნდა გვეშინოდეს.

საკრებულოს თავმჯდომარის საჩუქარი

დღეიდან თბილისელებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების უფასოდ გამოძახების უფლება აქვთ. სააკაშვილმა გუშინ ახალი სამედიცინო პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო.

სოფო ბუკია

"ნაციონალების" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სასწრაფო დახმარების მანქანა გაატარა, სირენა ჩართ

ცვლილება

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ჯორჯია ოუფენ

რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ!

ეგრე რა, რას გვაწვალებდით, ცოდო-მადლი არა გაქვთ? ჩვენც ხო ხალხი ვართ!

რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ!

როგორც იქნა, მოგროვდით ერთად. სხვა თუ არაფერი, მოგვბეზრდა წერა – ცალკე ამაზე, ცალკე იმაზე. თან თქვენგან ხომ კაცი სიმართლეს ვერ გაიგებს, სულ გამოცნობაში ვართ – ვინ სად არის, ვინ ვისთან არის...

ემაგრე რა!

ისე, დევიზიც მოვიგონე თქვენთვის. ძველია, კარგია, ნაღდია. მოგეწონებათ. ოღონდ ჯერ თქვენს ერთად შეგროვებაზე ვთქვათ ერთი-ორი თბილი სიტყვა, დევიზს კი ბოლოს, დესერტად მოგართმევთ.

ეხლა, დავწერე ეს ყველაფერი და გავჩერდი. ამდენი რომ ხართ და ეგრე დარჩეულები, აღარც კი ვიცი, საიდან, ვისგან დავიწყო. წესით, უფროს-უმცროსობას და ტიტულებს თუ გადავხედავთ, თქვენი პრეზიდენტია პირველი, მაგრამ დღეს საპრეზიდენტო გუნებაზე რაღაც ვერა ვარ. შემდეგისთვის იყოს. ჯერ ჭუჭულებს უნდა მოგხედოთ.

დიდი ამბებია საქართველოში, დიდი გაწევ-გამოწევა. სპორტი და სპორტსმენები რომ აღარა გვყავს, შეჯიბრებებიც სხვანაირი შემოვიდა მოდაში. ერთი, საკმაოდ ოპტიმისტურად განწყობილი ტელეარხი ოლიმპიური სისტემით ატარებს ზონალურ პარტიულ ტურნირს. იმათთვის, ვინც სისტემებში მაინცდამაინც ვერ ერკვევა, ვიტყვი, რომ ეს არის ის, როცა დამარცხებული მაშინვე ეთიშება ტურნირს. ერთი ფინალისტი ამ დღეებში უკვე გამოვლინდა კიდეც – პარტიულ ჯილას, აბსანძეს, დიდი უპირატესობით დაუმარცხებია მეტოქე. მაგრამ ადგილობრივი შეჯიბრება მაინც ადგილობრივია, დღეს კი კარზეა მომდგარი მთავარი – აი, საფრანგეთის ღია ჩემპიონატი რომ არის, ანდა ინგლისისა, უიმბლდონს რომ ეძახიან, ისეთი და, სახელიც შესაფერი დაურქმევიათ – ჯორჯია ოუფენი. ოუფენი იმიტომ, რომ მსაჯების დანიშვნაში ლამის მთელი მსოფლიო თანამშრომლობდა, თვითონ ტურნირში კი, როგორც ჩანს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ახლო და შორეული მეზობლები. ცუდი ის არის, რომ მსაჯთა ბრიგადის აბრევიატურა ცსკ საეჭვოდ ემთხვევა საბჭოთა გენერლების საყვარელ აბრევიატურას. თუმცა, ამას გაუძლებ კაცი. გადამწყვეტი მაინც მთავარი მსაჯის ვინაობაა.

სამში ერთის არჩევა, ვერ ვიტყვი, რომ იოლი საქმეა, მაგრამ პრეზიდენტს ბევრი არ უფიქრია და – ეგეთი ბედი გვაქვს ქართველებს მსაჯებში – მაინცდამაინც სოციალისტს დაადო ხელი. დაახლოებით კი ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ რჩევისთვის მაინც... დიახ, ზუსტად გამოიცანით. სწორედ რომ ჩემს ბიძაშვილთან ვაფრინე დეპეშა. გუშინწინ მივიღე პასუხი ბოდბისხევიდან. რამდენიმე აბზაცი ჩვენს პირად ურთიერთობებს ეხება, უფრო კონკრეტული თუ ვიქნები, ვითარებაში გარკვევის ჩემს უნარს – რა ვქნა, ეგეთი ორიგინალური შექება იცის ხოლმე – მერე კი საქმეზეც მოყვა: პაპაშენი ლევანა რომ ომამდე კაი დიდი ხნით ადრე ამკობდა სოციალისტების დედ-მამას, ეგ თუ არავის უთქვამს შენთვის, მენშევიკებისა და ბოლშევიკების ანეკდოტი მაინც არ გაგიგონია? მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ კარგად ვიმხიარულებთო. ბალაკინი, ლატიშევი და ცაპოვეცკი ხომ გახსოვს, ჰოდა, თუ გახსოვს, ისიც გეხსომება, რას გაჰყვიროდა შეხმატკბილებულად მთელი ტრიბუნაო.

ეჰ, კარგია ბიძაშვილთან მიწერ-მოწერა, მაგრამ ნეტა ეს მსაჯი რაღას ავიჩემე – ჩვენი არასდროს ყოფილა და რაღა ეხლა დაგვინიშნავდნენ?!

ისევ გავჩერდი. ვერ ავაწყე საქმე. სპორტული მოტივების შემოტანა ცუდი ხერხი არ არის, მაგრამ რაღაც ვერ ქაჩავს.

მოტივების?

ევრიკა! აი, ეგრე შემთხვევით ხდება დიდი აღმოჩენები. სიტყვა "მოტივები", ბევრს თუ არა, რამდენიმე მოტივს მაინც ნიშნავს. რამდენიმე მოტივი კი უკვე პოპურია. სახელისუფლები ბლოკში ძირითადად ერთი საქმისთვის არიან შეყრილნი, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთიმეორისგან. რა მოხდება, რომ ვუმღერო? არა, აუცილებლად უნდა ვუმღერო. ამაზე კარგ მომენტს ვერ ვნახავ. რა გამოვა აქედან, წინასწარ ვერ გეტყვით, სიმღერაში მაინცდამაინც მაგარი ვერა ვარ, მაგრამ რაღაც პოპურის მაგვარი ნამდვილად უნდა გამოვიდეს.

ესე იგი, პოპური.

მოტივი I.

გავიგე, ათეულებად დაყოფილხართ. მთავარი და განსაკუთრებული, ცხადია, პირველი ათეულია. გამოდის, ათი სიმღერის დაწერა მომიწევს და, ერთიც მისამღერის.

კაი ფეხბურთის კამანდასავით, თურმე, ნომრებიც დაგირიგებიათ. ეგ ცუდი არ არის, მაგრამ ბარემ ისიც გვითხარით, ეგრე ნომრებით ითამაშებთ ფინალში თუ ჩვენ თვითონ უნდა მივხვდეთ, ვინ რომელი ხართ.

კარგი. ნოემბერი შორს აღარ არის, პოპურის დაწერა კი არც ისე იოლი საქმეა. აი, თუნდაც პირველი თემა.

სასიამოვნო გარეგნობა კარგია, თუმცა, კოხტა ტან-ფეხისა და ლამაზი ტუჩ-კბილისთვის პოლიტიკაში არავის ეძახიან. მით უფრო – პირველ ნომრად.

რა თქმა უნდა, თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით, მაგრამ იქნებ მაინც თქვათ, დიდი ამბით რომ მიიღეთ და პირველნომრობაც გაუჩითეთ, - ჰო, ლორთქიფანიძეზე გეუბნებით, - რა ყარამან ყანთელი ან ტალეირანი ეგა მყავს, მანდ არა გყავდათ, სახმინისტრად? ან რა რეიტინგი მაგასა აქვს, ან რა საპარლამენტო ბატალიებში გაიმარჯვა! ბოლოს და ბოლოს, რა მულტიმილიონერიც ეგ არის, რომ ფულს დახარბებოდით!

რაღაც ვერ გამოდის, არა?

მამალაძეს თავზე გადაახტუნეთ, რჩეულიშვილი იქით გასწიეთ, ჩხაიძეების, სარიშვილებისა და ზოდელავებისნაირ წვრილ-წვრილ პოლიტიკოსებს აღარ ჩამოვთვლი. როგორც პირველი არხის ერთ-ერთი წამყვანი ფაქიზად იტყვის ხოლმე:

რა ხდება?

რისთვის, რა დამსახურებისთვის? აქაოდა, მშვიდია, წყნარი, ძალიან სერიოზული, დინჯი ლაპარაკი იცის, არავისთან ნაჩხუბარი არ არის, ჟურნალისტებს არ გაუწეწავთ, ამიტომ ფიქრობთ, ხალხიც მშვიდად შეხვდება და მშვიდადვე მიიღებს? რა გგონიათ, ამ ხალხმა, თუ ჩვენი პრეზიდენტივით შანგრი ლას არ სვამს, სულ დაკარგა მეხსიერება? სულ ეგეთები არ იყვნენ რაიკომის მდივნები და იმათი ინსტრუქტორები?

არა, არც ეგ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მთავარი მიზეზი ეგ არ არის. უფრო ჩემი ბიძაშვილის ვარაუდია სწორი:

კოხტად შეფუთული, ბანდეროლით გაქვთ მიღებული, თან с наложенным платежом და, ალბათ, ინსტრუქციაც მოჰყვა. აბრატნი ადრესიც ზედ ექნება. წამაკითხეთ-მეთქი, გეტყოდით, მაგრამ საჭირო არ არის, ემაგ კოდის გატეხვას დიდი პროგრამისტობა ნამდვილად არ სჭირდება...

ეხლა მე მეტი აღარ მცალია. ბიჭები მეძახიან. თანაც, რამდენიმე მნიშვნელოვანი თემის არანჟირება მაქვს მოსასწრები. სხვანაირად პოპური ვერ გამოვა. ჯერ თვითონ ბლოკში რამდენი ხართ – მამალაძე და სარიშვილი უკვე ვთქვი, მერე კიდევ ეს მარადიული დეპუტატების თავმჯდომარეო, ეს რკინიგზის დირექტორიო, ეს ჯარის ყოფილი დირექტორიო, ეს ეროვნული მთავრობის ერთადერთი ნარჩენიო და ჰო, ლამაზოც. ეხლა, ვითომ ბლოკს გარეთ რომ არიან და ამ დროს ყველაზე მაგრად რომ არიან შიგ, იმათაც ხომ უნდა ვუმღერო. მართალია, ოპოზიციაში შეგზავნილ აგენტებს ეძახიან, მაგრამ რა, მზვერავი კაცი არ არის? იმათგან ერთს, ქართული პროლეტარიატის ბელადს, ესე იგი, ნათელაშვილს, უკვე მივუძღვენი ლუმპენ-მოტივებზე შექმნილი ოდა, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უშედეგოდ – არ ჩერდება. ორი თემაღა მაქვს დასამუშავებელი – პატარა ზღვისპირელ ძერჟინსკელებზე და, ლუდის მსმელთა კი არა, როგორც ზოგიერთი ამბობს, ლუდის მხარშავთა პარტიაზე. ლუდის მსმელები სულ ტყუილად გარიეს ამ ჭუჭყიან საქმეში, ეგენი კაი ხალხია და, უფულობას რა ვუთხარი, თორემ რა და როგორ დალიონ, ჩვენზე კარგად იციან.

აი, ამდენი საქმე მაქვს. ამიტომ ახლა მისამღერსღა გეტყვით, დანარჩენი კი მერე იყოს.

ბერიას აპარტამენტებში ვაჟა ლორთქიფანიძის მიერ გატარებულ ჭაბუკობის წლებს გეფიცებით, ბოროტი განზრახვით არ მომსვლია. უბრალოდ, ინტერნეტში რაღაც-რაღაცებს ვეძებდი და სრულიად შემთხვევით გადავაწყდი.

თურმე: ლიტვის ბიუჯეტი უკვე მილიარდ ექვსასი მილიონი დოლარია, ესტონეთისა – მილიარდ რვაასი მილიონი, ლატვიისა – ორი მილიარდ ოთხასი მილიონი, საქართველოსი კი – მხოლოდ ხუთასი მილიონი.

ახლახან ლიტვის პრეზიდენტს ზემოთ-ქვემოთ რომ დაატარებდით და ხალხს ტელევიზიით ათას სისულელესა და მაიმუნობას აყურებინებდით, ბარემ ის გეთქვათ – ამათ, ამ ლიტველებს, მართალია, არც აფხაზეთი და არც სამაჩაბლო არა აქვთ დასაბრუნებელი, მაგრამ სამხედრო ხარჯებისთვის 230 მილიონი დოლარი აქვთ გამოყოფილიო. აი, ესტონეთი კი, ქვეყანაში რუსის სახით ნახევარი მილიონი მტერი რომ ჰყავს, თვითონ ესტონელები კი მილიონსაც ვერ აღწევენ, აი, ის, პაწაწკინტელა, გალოკილი თითივით ესტონეთი, 155 მილიონ დოლარს, ესე იგი, საქართველოზე შვიდჯერ მეტს ახარჯებს საკუთარ არმიას.

შვიდჯერ მეტს!

როცა ჩვენს კეთილთვისებიან ხელისუფლებაზე ვლაპარაკობ, ჩემი ბიძაშვილისგან განსხვავებით, ძირითადად, კეთილხმოვან, ცენზურაგამოვლილ სიტყვებს ვხმარობ, მაგრამ ზემოთ მოტანილი ესტონური მაგალითის შემდეგ ხალხი ჩვენს მთავრობასა და პარლამენტის კარგა მოზრდილ ნაწილს იდიოტებს რომ გეძახით, თვითონ მირჩიეთ, უნდა დავეთანხმო თუ არა.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა. ლოზუნგს დაგპირდით. იმასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს, ერთად რომ მოგროვდით და მართლა ძაან რომ გამახარეთ.

დიუმას ხსოვნას კი ვაყენებ ჩრდილს, მაგრამ რა ვქნა, სწორედ თქვენზეა გამოჭრილი:

"ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის!"

გააკრით ახლა კანცელარიის ფასადზე და წინ, ბიჭებო! იქნებ შეჭამოთ, რაც შესაჭმელი დაგრჩათ!

მიდით, ბიჭებო! თქვენს იმედზეა, თქვენ შემოგცქერით სამშობლო!

ბანკი "ემ-ბი-ჯი" "პროკრედიტ ბანკად" იქცა

მაია ურუშაძე

საქართველოს მიკროსაფინანსო (ემ-ბი-ჯი) ბანკმა სახელი გადაირქვა. ამიერიდან მას "პროკრედიტბანკი" ჰქვია. მიკროსაფინანსო ბანკის ნათლობის პრეზენტაცია გუშინ საღამოს სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა. როგორც ბანკის დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა განმარტა, "პროკრედიტი" ლათინური სიტყვაა და სესხებზე, ან ნდობაზე ორიენტირებულს ნიშნავს.

ბანკის ნათლობაზე.

ბანკის ოფიციალური სახელისა და ლოგოტიპის შეცვლის შემდეგ ბანკში კლიენტებისათვის არაფერი შეიცვლება – უცვლელი დარჩება ანგარიშების ნომრები, პერსონალი, აქციონერთა შემადგენლობა. "პროკრედიტ ბანკს" გადაეცემა "ემ-ბი-ჯი" ბანკის ყველა სამართლებრივი უფლება-მოვალეობები.

ანუ, მომხმარებელთათვის ცვლილება, ფაქტობრივად, უმნიშვნელო იქნება. მათ ძველებურად მოემსახურება ბანკის იგივე პერსონალი და შესთავაზებს იმავე მომსახურებას, რასაც აქამდე სთავაზობდა. შეიცვლება მხოლოდ ის, რომ ამიერიდან ისინი არა "ემ-ბი-ჯი" ბანკის, არამედ "პროკრედიტ ბანკის" კლიენტები იქნებიან.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში იგივე ცვლილება მოხდება "ემ-ბი-ჯი" ბანკის პარტნიორ აღმოსავლეთ ევროპის ბანკებშიც. როგორც ცნობილია, ყველა მიკროსაფინანსო ბანკი, რომლებიც ერთად 250 ათას კლიენტს ემსახურებიან და რომელთა აქტივების საერთო ღირებულებაც 800 მილიონ დოლარს შეადგენს, ერთი ფინანსური ჯგუფის საკუთრებაში იმყოფება და მასში შემავალი აქციონერები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკრო ინვესტიციების კომპანია არიან.

მიკროსაფინანსო ბანკების ქსელის სახელის ცვლილება სწორედ მიკროსაფინანსო ბანკების ქსელის ამ აქციონერთა ერთობლივი გადაწყვეტილებით მოხდა.

როგორც უკვე "პროკრედიტ ბანკის" დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა განაცხადა, **"უახლოეს თვეებში ბანკის ფილიალებში ეტაპობრივად მოხდება მისი ლოგოტიპისა და სახელის განახლება, გაუმჯობესდება მომსახურება, გაიზრდება პროდუქტთა სახეობები, ვინაიდან ბანკის გაუმჯობესებულ მომსახურებას ქსელში არსებული ყველა ბანკის გამოცდილება და ცოდნა საფუძვლად დაედება."**

„მომუშავე ღარიბები„ - XXI საუკუნის საქართველოს რეალობა

IREX

ნაწილი პირველი

ადამიანის სიღარიბე არ იზომება იმით, აძლევს თუ არა შემოსავლები მას გამოკვების საშუალებას. სიღარიბე სხვა მდგომარეობაა. იგი გაცილებით მეტია და გულისხმობს ხელმიუწვდომობას სხვა საქონლის მოხმარებაზე, დასაქმებაზე, განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე. მიუხედავად იმისა, რომ, დაახლოებით, სამი-ოთხი წელია საქართველოში გაჩნდნენ ბავშვები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, ცხოვრების სხვა ფაქტორები უფრო ნათლად ხატავენ ჩვენი მოსახლეობის სიღარიბის სურათს. ეს სურათი ნამდვილად შთამბეჭდავია და დეტალურადაა მოცემული გაერო-ს განვითარების პროგრამის 2001-2002 წლების ჰუმანურ ანგარიშში. წინამდებარე სტატიის მომზადებისას ჩვენ სწორედ ამ დოკუმენტით ვისარგებლეთ.

მაკა ჯაიანი

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც გაერო-ს განვითარების პროგრამას ჰუმანური განვითარების ანგარიშის მომზადებისკენ უბიძგა, ის გახლავთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად ქართული საზოგადოებისთვის, სიმწვავით, მეორე ადგილზე გადაინაცვლა ისეთმა მნიშვნელოვანმა საკითხებმა, როგორიცაა საქართველოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. უმუშევრობა და დაბალი შემოსავალი, როგორც პრობლემა, დღევანდელ საქართველოში პირველობას არაფერს უთმობს. პირველთა რიგშია ასევე კორუფცია, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი ორი პრობლემის საფუძველთაგანად. მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ საკითხთა ორ მესამედს სწორედ ეს საკითხები შეადგენს.

გაზომვის იმ მეთოდების მიხედვით, რომელსაც ხელისუფლება იყენებს, უმუშევრობის ოფიციალური ციფრი ქვეყანაში 10-დან 15 პროცენტამდე მერყეობს. გაერო-ს განვითარების პროგრამის ანგარიში ხაზს უსვამს, რომ საქართველოში უმუშევრობის რეალურ სურათს, ჯერ-ჯერობით, ნაკლებად იძლევა არათუ სახელისუფლო გათვლები, ევროგაერთიანების ტასის-ის პუბლიკაციის - "საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები" – მონაცემებიც კი. ფაქტია: უმუშევართა ჯგუფს, ძირითადად, 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდები მიეკუთვნებიან. უმუშევრობა, ასევე, სერიოზული პრობლემაა 30-40 წლის მოსახლეობის ორი მესამედისთვის. თბილისში ყოველი მესამე სამუშაო ასაკის ადამიანი შრომის ბაზრის მიღმაა დარჩენილი. ბევრმა უკვე დაკარგა სამსახურის შოვნის იმედი.

"შერბილებული" მეთოდოლოგიის მიხედვით, უმუშევრობა სოფლად 6 პროცენტს შეადგენს, ვინაიდან საქართველოს კანონით დასაქმების შესახებ, ნებისმიერი ფერმერი, ვისაც ერთი ჰექტარი მიწა მაინც აქვს, თვითდასაქმებულად არის მიჩნეული. ამიტომაც შეადგენენ "თვითდასაქმებულთა" 67,4 პროცენტს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები. სოფლის მცხოვრებთა 94 პროცენტი რომ რეალურად იყოს დასაქმებული, იქაურებს არ დასჭირდებოდათ "აქლემის სტრატეგიის" გამოყენება - ზაფხულში აღებული მოსავლიდან მარაგის გაკეთება, ხანგრძლივი და ბნელი ზამთრის განმავლობაში მოსახმარად. არადა, ისეთ ნაყოფიერ (წესით – მდიდარ) კუთხეში, როგორიც კახეთია, სწორედ ასე იქცევიან. გურიასა და იმერეთში, სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობაც არ აქვთ.

"შერბილებული" მონაცემები თავის საქმეს აკეთებს. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, იგი დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში უმუშევრობის დონის განსაზღვრაზე, ხელოვნურად ამცირებს მის ციფრს და, ასევე ხელოვნურად, ზრდის ეკონომიკური აქტივობის დონეს. ამ ყველაფერს, ალბათ, ექნებოდა გარკვეული რეზონი დასაქმება საქართველოში ჭეშმარიტ შინაარსს რომ ატარებდეს. სამწუხაროდ, სამსახური ჩვენთან არ ნიშნავს სიღარიბიდან თავის საბოლოოდ დაღწევას. სამუშაო ადილების უმეტესობა (ისინი, ძირითადად, დიდ ქალაქებში იქმნება) არაფორმალურ სექტორშია, დროებითია, მეტწილად ნახევარი განაკვეთის მოცულობის, მოკლევადიანი და დაბალანაზღაურებადი. ხელფასები, თითქმის, ყველგან დაბალია და ოჯახებს დამატებითი შემოსავლის წყარო სჭირდებათ.

ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ღარიბი ადამიანების უმეტესობა მუშაობს, დასაქმებულია. მსოფლიო ბანკის Georgia: Poverty Undate 2001- ის მონაცემებში მათ საინტერესო სახელს აძლევენ – "მომუშავე ღარიბები". საქართველოში დასაქმება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ადამიანები ცხოვრების სტანდარტის მინიმუმის ზღვარს ასცდნენ. მინიმალური ხელფასი ქვეყანაში 20 ლარია, საშუალო კი 50-70 ლარს შორის მერყეობს. გაერო-ს განვითარების პროგრამის ჰუმანური განვითარების ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის, დაახლოებით, 40 პროცენტის ხარჯი 1 სულ მოსახლეზე 55-115 ლარს შეადგენს. სწორედ ამ ფარგლებშია გავლებული საქართველოში უდაბლესი და უმაღლესი სიღარიბის ზღვრები.

ამ პირობებში პირველ პლანზე იწევს სრულფასოვანი კვების საკითხი. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიხმარს კვების რაციონს, რომელიც შეადგენს 1,800 კ/კალ. დღეში. ეს არის ძალზე მწირი დიეტა, რომელიც მხოლოდ ნორმალურზე ნაკლებ, დაბალ ფიზიკურ აქტივობას შეესაბამება და შეიძლება გამოიწვიოს რიგი დაავადებებისა. შემაშფოთებელია დედაქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენს: თბილისელთა, თითქმის, 39-40 პროცენტი არასაკმარისად იკვებება. კვების კალათის ღირებულება მცირდება დიდი ზომის მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. ერთით მეტი წევრი შინამეურნეობაში კვების ღირებულების 8 პროცენტით შემცირებას ნიშნავს.

თვეში, დაახლოებით, 100 ლარი შემოსავლის მქონე ადამიანი, საშუალოდ, 65 ლარს ხარჯავს კვებაზე, 35-ს დანარჩენ საჭიროებაზე. ასეთი ადამიანები ელექტროენერგიის მოხმარებას დღეში 5 საათამდე ზღუდავენ, გამათბობლის მოხმარებას - 4 საათამდე. მათ ხარჯებში არ არის თანხა ტანსაცმლის, საპნის, ტუალეტის ქაღალდის, კბილის პასტის, წიგნების, ბავშვის საჩუქრისა და სხვა საჭიროებისათვის. მათ უნდა იზრუნონ, რომ ჯანმრთელობის დაცვისთვის დაშვებული მინიმუმი უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში გამოიყენონ. თუ სამუშაო ადგილამდე ტრანსპორტი უნდა გამოიცვალონ, ამ მანძილის ფეხით გავლა ან, სატრანსპორტო ხარჯების გამო, სხვა ხარჯების შემცირება უწევთ. თუმცა, მათთან შედარებით, ვისაც თვეში მხოლოდ 55 ლარი შემოსავალი აქვს, კარგად იკვებებიან.

მაშინაც კი, როცა ამგვარი შემოსავლის მქონე ადამიანები კარგად ერკვევიან საკვები პროდუქტის კალორიულობაში, არასაკვები პროდუქტებისთვის ხარჯი მხოლოდ 10 ლარი რჩებათ. თუ მაცივრის გამოყენება უწევთ და, შესაბამისად, ელექტროენერგიის საფასურს იხდიან, ეს თანხა 3 ლარამდე მცირდება. იგი უნდა განაწილდეს ჯანმრთელობის დაცვაზე, ტრანსპორტსა და პირადი მოხმარების საგნებზე. ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია იაფფასიანი პროდუქტების შეძენა და ამის ხარჯზე არასაკვები პროდუქტებისთვის თანხის გამონახვა. ამ სტრატეგიას საქართველოში ხშირად მიმართავენ. იგი დიდ რისკთანაა დაკავშირებული და, თავისი ხანგრძლივობით, ავადმობის ზრდის პროპორციულია.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus Mission) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი
და პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაცია

აცხადებს

- პროფესიული სერტიფიცირების მსურველთა მიღებას ACCA-ს პროგრამით.

ინტენსიური მომზადება და გამოცდები 14 წიგნში (პრაქტიკის მქონე სპეციალისტებისათვის - 8 წიგნში). სასწავლებლად მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები და ეკონომიკური პროფილის სტუდენტები.

- ბუღალტერთა გადამზადებას "სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის" საკვალიფიკაციო პროგრამით.

საბუთების მიღება ა.წ. 20 სექტემბრამდე წერეთლის 61
ტელ: 35 01 57, 98 43 96. მობ: 899 56 78 42

ჯარიმის გაზრდა გარე მოვაჭრეებს ვერაფერს დააკლებს

5 სექტემბრიდან ძალაში შევიდა სანიტარული კოდექსის ის მუხლები, რომელიც ვაჭრობის წესების დარღვევისას ჯარიმის ოდენობის გაზრდას ითვალისწინებს. ამიერიდან ვაჭრობის წესების დარღვევაზე ფიზიკური პირი, 9 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი – 100 ლარით, დარღვევის განმეორების შემთხვევაში ფიზიკურ პირს 200 ლარის გადახდა მოუწევს, იურიდიულ პირს – 500 ლარის. თუმცა, ჯარიმის ოდენობის საგრძნობლად გაზრდა გარე ვაჭრობის ადგილებს დიდად არ შეეტყობა.

ნანა ქადაგიშვილი

მაკონტროლებელი უწყებები გარე ვაჭრობის პრობლემის მოუგვარებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მუდმივად ჯარიმის სიმცირეს ასახელებდნენ. ჯარიმის ოდენობა, როგორც იქნა, გაიზარდა, მაგრამ დაბრკოლებები არ შემცირებულა. როგორც სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია აცხადებს, მათი მოვალეობა მხოლოდ გარე ვაჭრობის წესების დამრღვევი სავაჭრო ობიექტების დაჯარიმებაა. **"5 სექტემბრიდან დღემდე სასამართლოს უკვე რამდენიმე ობიექტის საქმე გადავეცით. ერთი ქეთევან წამებულის N 2-ში მდებარე პურის საცხობია, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს და მეზობლებს აწუხებს. ამის გარდა, ელიავას ბაზრობაზე რამდენიმე მაღაზიაც დავაჯარიმეთ. ავტონაწილებით, საღებავებით, ზეთებით მოვაჭრე ეს ობიექტები პირველ სართულზეა განთავსებული, რაც დაუშვებელია, მანქანის ზეთს და საღებავებს სპეციფიური სუნი აქვს. აღნიშნული ობიექტები სასამართლომ 1500-დან 2000-ლარამდე უნდა დაჯარიმოს. ჯარიმის გაზრდის შედეგებზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ დაჯარიმებული სავაჭრო ობიექტები უკვე სერიოზულად შეშფოთდნენ, ზოგი თანახმაა, რომ პროფილი შეიცვალოს. რაც შეეხება გარე მოვაჭრეებს, მათი დაჯარიმება საგადასახადო სამსახურებისა და პოლიციის საქმეა,"** – აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი ჯუღული ახვლედიანი.

გარე მოვაჭრეთა დაჯარიმებას მხოლოდ ჯარიმის სიმცირე არ უშლიდა ხელს. არანაკლები პრობლემა გახლავთ მათი ვინაობის დადგენა. გარე ვაჭრობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად მიიჩნევა და მოვაჭრეთა ვინაობის დადგენაც პოლიციის კომპეტენციაში შედის. პოლიცია კი მოვალეობას იმით ასრულებს, რომ თითოეულ მოვაჭრეს არაოფიციალურ გადასახადს უწესებს. ასეთ პირობებში ვაჭრობის წესების დარღვევაზე ჯარიმის ოდენობის გაზრდას შედეგი ნამდვილად ვერ ექნება.

ორი სიტყვით

თბილისი. 15 სექტემბრიდან ყველა თბილისელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამჯერ უფასოდ გამოძახების შესაძლებლობა ეძლევა. ამ მუნიციპალური პროგრამის პრეზენტაცია გუშინ "03"-ის ცენტრალურ ქვესადგურში შედგა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ქალაქის მერი დედაქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს შეეხო და შესაბამის სამსახურს მეტი ყურადღების გამოჩენისაკენ მოუწოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, წყლის მიწოდების დარღვეული გრაფიკი გამოსწორდა და დედაქალაქის მოსახლეობას გუშინდღიდან წყალი პრობლემის გარეშე მიეწოდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, "თბილისის მეტროპოლიტენ" 8 თვის განმავლობაში დენი 23-ჯერ გამოერთო. ზარალმა 71.000 ლარი შეადგინა. მის ანაზღაურებას "მეტროპოლიტენი" სემეკისგან ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკის ერთადერთი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასკოლო სახელმძღვანელოებით განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სენაკის დევნილთა სკოლის 500-მდე მოსწავლისთვის ახალი სასწავლო წელი ჯერ არ დაწყებულა. სკოლა, რომელიც შარშან ძლიერი ქარიშხლის შემდეგ სახურავის გარეშე დარჩა, გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. „ატსტუპნიკების" საკითხი ამ დღეებში საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება პარლამენტის თავმჯდომარესა და ფრაქციების ლიდერებს შორის მოსალოდნელ შეხვედრაზე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური მუშაობის სამმართველოს რეკომენდაციით, 21 სექტემბერს სკოლებში ჩატარდება ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გაკვეთილები. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. "ლეიბორისტული პარტიის" აქტივისტებმა გერმანიის საელჩოსთან თაღლითობაში ამხილეს და პოლიციას გადასცეს თბილისელი გიორგი ცერცვაძე, რომელიც მოქალაქეებს უცხოეთის ვიზის გაფორმების, ავტომანქანების ჩამოყვანის და სხვა დაპირებებით, "ლეიბორისტული პარტიის" სახელით ფულს სძალავდა.

პარტიის პრეს-სამსახურის განცხადებით, "ლეიბორისტული პარტიის" და მისი ლიდერის შალვა ნათელაშვილის სახელით, გიორგი ცერცვაძემ თბილისში და ახმეტის რაიონში რამდენიმე მოქალაქეს ფული უკვე გამოსძალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ფოთი. გუშინ ფოთის საქალაქო სასამართლომ არ დაკმაყოფილა თურქული ტანკერის "ემმას" კაპიტნის, ისმაილ დენიზის სარჩელი 250-ათასლარიანი ჯარიმის გაუქმების შესახებ. ჯარიმა გემის მფლობელებს ქართულმა მხარემ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ნაოსნობის წესების დარღვევის გამო დააკისრა.

თურქული მხარის ადვოკატები ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ქუთაისის საოლქო სასამართლოში აპირებენ. თუ 250-ათასლარიანი ჯარიმის გადახდის გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოც ძალაში დატოვებს, მაშინ ტანკერი „ემმა“ აუქციონზე გაიყიდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ევროპის სასამართლოში ხვალ გაიმართება სასამართლო პროცესი, რომელზეც უნდა გადაწყდეს, სასამართლო არსებითად განიხილავს თუ არა ჩეჩენი პატიმრების სარჩელს საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ. ჩეჩენმა პატიმრებმა თავიანთი უფლებების დასაცავად ევროპის სასამართლოს მას შემდეგ მიმართეს, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მათი რუსეთისთვის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო.

სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგში უკვე გაემგზავრნენ იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლის სამსახურის უფროსი ლაშა ჭელიძე და ჩეჩენი პატიმრების ადვოკატები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის პოლიციის უფროსის დავით მჭედლიშვილისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსთავის ქუჩებში დადის ავტომანქანა, რომლის იატაკი ახდილია, ჭის თავსახურების „მოყვარული“ პირები მანქანას აჩერებენ ჭების თავზე და სხვათაგან შეუმჩნევლად ხსნიან ჯართში ჩასაბარებელ სახურავებს. ამ გზით რუსთავში რამდენიმე ასეული თავსახურია მოპარული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის პროკურორის თამაზ კოღუას განცხადებით, რუსთავში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა ზაფხულის პერიოდში, შარშანდელ პერიოდთან შედარებით, 10 ერთეულით იმატა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლინდა კარპოვა პოლიციელებმა, მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. კარპოვამ, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, დანით გულმკერდში დაჭრა ტყიბულელი კახა კაბულაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე არარეგისტრირებული სააფთიაქო ჯიხურის თანამშრომელი ვერა ოლუფინსკაია ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების გასაღების ბრალდებით დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავში 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩაზე გიორგი ასანიშვილზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. არასრულწლოვანი დავით კეჭაყმაძე მას ქუჩაში დანით შეიარაღებული დახვდა და გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა. თავდამსხმელმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა მკაცრად გააფრთხილა რუსთავის პოლიციის უფროსის პოსტზე ახლად დანიშნული დავით მჭედლიშვილი და განაცხადა, რომ პოლიციაში საკადრო ცვლილებები სამთავრობო ბლოკის ინტერესების გათვალისწინებით მოხდა. ახალ ხელმძღვანელს კი ურჩია, რომ წინასაარჩევნოდ თავისი პროფესიონალიზმი იმ საკითხების მოსაგვარებლად გამოიყენოს, რაც პოლიციის უფროსს უშუალოდ ევალება და პოლიტიკისგან თავი შორს დაიჭიროს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დმიტრი როგოზინი აცხადებს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ძალზე გაოცებულნი დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის პასპორტების შეცვლასთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის თანაშემწედ ყოფილი პოლიციელი ზურაბ ასანიშვილი (იგი ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ერთ-ერთი მოადგილის მერაბ ასანიშვილის ვაჟიშვილია) დაინიშნა. ტყეშელაშვილმა პოლიტიკური ოპონენტის მოადგილის ვაჟის თანაშემწედ დანიშვნის თაობაზე მკაცრად გააფრთხილა მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და განაცხადა, რომ „ზურაბ ასანიშვილის მიერ მიცემული დავალება ისე აღიქვან, როგორც მერის დავალება“ და მის შესრულებაზე იზრუნონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ფოთი. ფოთის ყოფილი მერი და მაჟორიტარი კანდიდატი რომან მელია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატს, სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს ბაკურ გულუას სერიოზულ კონკურენტად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს მას ფოთის მოსახლეობაში 1999 და 2002 წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებისას მოპოვებული მაღალი რეიტინგი აძლევს. **მედია-ნიუსი**

ტურისტები "დაკარგულ ქალაქში" დაიკარგნენ

მთავრობამ ტურისტების მოსაძებნად უკვე გაგზავნა სამაშველო ჯგუფი.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია კოლუმბიაში რვა უცხოელი ტურისტის გატაცების შესახებ. მათ შორის არიან ბრიტანეთის, ისრაელის, გერმანიის და ესპანეთის მოქალაქეები. ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ტურისტები კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების პარტიზანებმა გაიტაცეს. ტურისტებმა ბოლოს სიერა ნევადას რაიონი მოინახულეს, რომელიც საკმაოდ საშიშ ტერიტორიად არის მიჩნეული. სიერა ნევადას დაუფლებისათვის ბრძოლას აწარმოებენ მარქსისტი-პარტიზანები, მემარჯვენე გასამხედროებული დაჯგუფების მოლაშქრეები და ნარკომოვაჭრეები. არც ერთი მათგანი უცხოელი ტურისტებისადმი პატივისცემით არ გამოირჩევა.

სიერა ნევადა კარიბის ზღვის სანაპიროზე გადაჭიმული მთაგრეხილია, სადაც ჯუნგლებში ე.წ. დაკარგული ქალაქი მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, დაკარგული ქალაქი ქრისტეს შობამდე 500 წლით ადრე იქ მცხოვრებმა ტომებმა ააგეს. უცხოელ ტურისტებს სწორედ ამ ქალაქის მონახულება სურდათ.

სტატისტიკის თანახმად, კოლუმბიაში ყოველწლიურად სამი ათასამდე ადამიანს იტაცებენ, რაც ყოველ ოთხ საათში ერთ გატაცებულს ნიშნავს. ამ გატაცებების უმრავლესობას კი კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ არმიას მიაწერენ. ისინი ხელისუფლებასთან ბრძოლას უკვე 39 წლის განმავლობაში აწარმოებენ. ადამიანთა გატაცება და გამოსასყიდად მიღებული თანხები კი პარტიზანების შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

მთავრობამ ტურისტების მოსაძებნად უკვე გაგზავნა სამაშველო ჯგუფი, თუმცა სიერა ნევადას მაღალმთიანი რაიონი და ჯუნგლები ოპერაციისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. ტურისტთა მოსაძებნად კოლუმბიის რეგულარული არმიის და პოლიციის ნაწილებია ამოქმედებული, თუმცა ოპერაციის კრახით დასრულებაში ეჭვი არავის ეპარება. რევოლუციური არმიის პარტიზანები სიმკაცრით და პრინციპულობით არიან ცნობილნი. ისინი მზად არიან, მძევალი მოკლან, ვიდრე ხელისუფლებასთან ბრძოლაში დათმონ. ხშირად ისინი მძევლებს რამდენიმე წლით იტოვებენ ხოლმე და გამოსასყიდ თანხას მისი ახლობლებისგან მოთმინებით უცდიან. ამჟამად მათთან, გუშინ გატაცებული ტურისტების ჩათვლით, ოცზე მეტი მძევალი იმყოფება. მათ შორისაა ინგრიდ ბეტანკური, რომელმაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა.

შვედებმა ევროს მშობლიური კრონა ამჯობინეს

ევროკავშირის იმედები, რომ შვედეთი ერთიანი ევროპული ვალუტის - ევროს ზონაში შევიდოდა არ გამართლდა. კვირას გამართულ რეფერენდუმზე, შვედებმა ევროპულ ევროს შვედური კრონა ამჯობინეს. ამის მიუხედავად, ოფიციალური ბრიუსელი იმედიანად არის განწყობილი. ევროკომისის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობა არ კარგავს იმედს მომავალში ევროზონაში შვედეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ შვედეთში ევროს შემოღება ახალგაზრდა ევროპულ ვალუტას მნიშვნელოვნად გააძლიერებდა. ევროკომისია იმედოვნებს, რომ შვედეთის ხელისუფლება ქვეყანაში ევროს მიერთების მიზნით აგიტაცია-პროპაგანდას კიდევ უფრო გააქტიურებს.

თუმცა, შვედებს სულაც არ ანაღვლებთ ევროკომისიის იმედები. ევროს წინააღმდეგ ხმა შვედების 56,1%-მა მისცა, მაშინ როცა ევროზონაში გაწევრიანების სურვილი 41,8% გამოთქვა.

პრემიერ-მინისტრმა იორან პერსონმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შედეგები სრულიად თვალსაჩინოა და მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავრობა ამით უკმაყოფილოა, ის თავის მოქალაქეთა ნებას წარმოადგენს რომელიც ქვეყანაში უზენაესი უნდა აიყოს.

ევროკომიისის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ შვედეთის რეფერენდუმის შედეგების კომენტირებისას განაცხადა, რომ რეფერენდუმის რეზულტატის თანახმად, შვედეთი ნელ-ნელა დაკარგავს გავლენას ევროკავშრში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. **“მე უნდა ვაღიარო, რომ კენჭისყრის შედეგი გაცილებით უარესია, ვიდრე მე ამას ველოდი,”** განაცხადა რომანო პროდიმ.

ევროზონაში შეერთების საკითხზე რეფერენდუმი უნდა გაიმართოს დანიაშიც. ცხადია, შვედებმა ერთგვარი სამაგალითო როლიც კი იტვირთეს სკანდინავიელი მეზობლის მიმართ. დანიის პრემიერ-მინისტრი რასმუსენი კი აცხადებს, რომ შვედური შედეგი დანიურ შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს. ამ განცხადების მიუხედავად, აშკარაა რომ დანიის ხელისუფლება შეშფოთებულია შვედეთის რეფერენდუმის რეზულტატით.

იორან პერსონი კი აცხადებს, რომ ახალი რეფერენდუმი მის ქვეყანაში ევროს შემოღების საკითხზე ათ წელზე ადრე ვერ გაიმართება.

ალიევების სამედიცინო და იურიდიული პრობლემები

პირველი გვერდიდან

მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილება არ ასახელებს გარიგების აზერბაიჯანელ მონაწილეებს, მაგრამ, გაზეთ "ფაინენშიალ ტაიმსის" ცნობით, განაჩენში მოხსნიებული "ადამიანი, რომელსაც პრივატიზაციის საკითხებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ეკუთვნის", სხვა არავინაა, თუ არა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, ხოლო "ნავთობკომპანიის მაღალი თანამდებობის პირი" – მისი ვაჟი ილჰამი.

აზერბაიჯანის ხელისუფლება ყოველგვარ ბრალდებას უარყოფს; სამაგიეროდ, ოპოზიციის წარმომადგენლები ბობოქრობენ, რომლებსაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ სატელევიზიო ეთერი დაუთმეს.

უქმე დღეებში პრეზიდენტ ალიევის შესახებ ამერიკაში კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა: უკვე მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით კლივლენდის კლინიკამ, სადაც იგი მკურნალობს, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი მდგომარეობა უმჯობესდება. პრეზიდენტი ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსს გადის და სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადება. ექიმების განცხადებით, ალიევი სამშობლოში დაბრუნებას შეძლებს, თუმცა როდის - უცნობია.

პრემიერ-მინისტრ ალიევის განცხადებით, პრეზიდენტი ალიევი შინ არჩევნებამდე დაბრუნდება.

ისრაელი არაფატის ლიკვიდაციას არ გამორიცხავს

ისრაელის ხელისუფლება არ გამორიცხავს პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის ლიკვიდაციის ოპერაციას. ამის შესახებ ისრაელის ვიცე-პრემიერმა ეჰუდ ოლმერტმა განაცხადა. მისი თქმით, ქვეყნის ხელისუფლებას მხოლოდ ერთი საკითხი დარჩა გადასაწყვეტი, თუ როგორ მოაშოროს პალესტინის ხელისუფლებიდან იასირ არაფატი. **“ერთ ვარიანტს ქვეყნიდან არაფატის გაძევება, ხოლო მეორს ვარიანტს კი, მისი ლიკვიდაცია წარმოადგენს,”** განაცხადა ეჰუდ ოლმერტმა. მან დასძინა, რომ არსებობს მესამე შესაძლებლობა – არაფატის ფიზიკური იზოლაცია.

ოლმერტის განცხადებას უკვე გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. მისი თქმით, ვაშინგტონი იასირ არაფატის არც განადგურების მომხრეა და არც გაძევების.

როგორც ჩანს, ისრაელს სულ არ აღელვებს არც ვაშინგტონის და არც საერთაშორისო განწყობა არაფატის გაძევებასთან დაკავშირებით. კვირას, ისრაელის მასმედიამ თავდაცვის მინისტრის შაულ მოფაზის განცხადება გაავრცელა, სადაც ის ამბობს, რომ იასირ არაფატის არც ერთ წარმომადგენელთან ისრაელის ხელისუფლება მოლაპარაკებებს არ გამართავს.

თავის პოზიციებს არ თმობს, არც თავად არაფატი. ის რამალის რეზიდენციდან დროდადრო გამოდის და მის მხარდამჭერებს სიტყვით მიმართავს. **“ნებისმიერი მცდელობა აიძულონ ჩვენი ხალხი დანებდეს, მარცხისთვისაა განწირული. ღვთის შეწევნით ჩვენ არასდროს დავიჩოქებთ. მე არ დავტოვებ პალესტინას და ამ მიწაზე მოვკვდები,”** განაცხადა არაფატმა.

კადიროვმა პრეზიდენტობა ვადამდე გაინაღდა

ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურმა აჰმად კადიროვმა არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდა პრეზიდენტობა. მისი ორი მთავარი კონკურენტი - ასლახანოვი და საიდულიევი რბოლას ჩამოცილდა. ასლახანოვი ჩეჩნეთის წარმომადგენელია რუსეთის სახელმწიფო დუმაში. კადიროვისათვის პრეზიდენტობის დათმობის სანაცვლოდ, პუტინი ასლახანოვს ფედერალურ მთავრობაში მაღალ თანამდებობას შეპპირდა. რაც შეეხება მოსკოვში მოღვაწე ჩეჩენ მილიონერს მალიკ საიდულიევს, მისი კანდიდატურა "ჩეჩნეთის უზენაესმა სასამართლომ" გაუქმა, მიიჩნია რა, რომ კანდიდატის სასარგებლოდ შეგროვებულ ხელმოწერათა 40 პროცენტი ყალბი იყო. მესამე, ნაკლებად სერიოზული კანდიდატი ხუსეინ ჯიბრაილოვი რბოლას ჯერ კიდევ ორ სექტემბერს გამოეთიშა.

პრეზიდენტობას კადიროვს კიდევ შვიდი კანდიდატი ეცილება, მაგრამ მათ წარმატების არანაირი შანსი არა აქვთ. სხვათა შორის, ექსპერტების თქმით, არჩევნების ნორმალურად ჩატარების შემთხვევაში კადიროვს არა აქვს არანაირი შანსი. თუმცა გაზაფხულზე ჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ხელისუფლებისათვის სასურველ გადაწყვეტილებას მკვდარი ჩეჩნებიც ერთხმად უჭერენ მხარს.

ის, რასაც კრემლი ადვილად ახერხებს ჩეჩნეთში, არცთუ ისე კარგად გამოსდის საზღვარგარეთ. ლონდონში მიმდინარე ზაკაევის პროცესი გასულ კვირას რუსული მართლმსაჯულების პროცესად იქცა.

მკვლელობაში, ტერორიზმსა და ადამიანთა გატაცებაში ბრალდებული "ჩეჩენი ბინ ლადენი" ზაკაევი სასამართლო პროცესზე მედიისა და დამსწრე საზოგადოების სიმპათიით სარგებლობს, მაშინ როდესაც რუს პროკურორებს მძიმე დღეები უდგათ.

დამსწრე საზოგადოების გაოგნება პირველად სასამართლოზე მოწმის სახით იმ ბერის გამოჩენამ გამოიწვია, რომლის მკვლელობაშიც ბრალი ზაკაევს ედებოდა.

ამის შემდეგ პროცესზე ზაკაევის ყოფილი პირადი მცველი ვახა დოშუიევი გამოჩნდა, რომელიც ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი კოზირი იყო. დოშუიევმა რუსეთის ტელევიზიით მრავალ დანაშაულში საჯაროდ ამხილა ზაკაევი.

პროცესზე კი დოშუიევმა მთლიანად შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ მისი წინა "აღიარება" სასტიკი წამების შედეგი იყო. არადა, რუსეთის პროკურატურა აცხადებდა, რომ პირადი მცველი თავისი ფეხით გამოცხადდა ჩვენების მისაცემად.

ამის გარდა, ინგლისური სასამართლო დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, გაერკვია, როგორ მოხდა, რომ უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებული ზაკაევი 2001 წელს "მშვიდობის ელჩის" სტატუსით მოსკოვში პუტინის პირად წარმომადგენელს შეხვდა.

ერთი სიტყვით, ის ბრალდებები, რომლებიც რუსეთში ხანგრძლივ პატიმრობას გამოიწვევდა, ინგლისურმა სასამართლომ ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა.

„ესტონეთში გაზაფხული მოვიდა - ჩვენ კვლავ ევროპაში ვართ„

ეს განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა იუჰან პარტსმა გააკეთა. კვირას გამართულ რეფერენდუმზე, რომელზეც ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანება უნდა გადაწყვეტილიყო, ესტონეთის მოსახლეობის 66,9 პროცენტმა ევროკავშირში გაერთიანებას დაუჭირა მხარი. წინააღმდეგი მხოლოდ 33,1 პროცენტი აღმოჩნდა. ამით, ესტონელებმა საბოლოოდ უარი თქვეს საბჭოთა წარსულზე და ევროპასთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი გამოხატეს. ევროკავშირში შესვლის მოწინააღმდეგეები კი აცხადებდნენ, რომ ესტონეთის დინამიური და ლიბერალური ეკონომიკა ევროკავშირში ინტეგრაციით საგძნობლად დაიხევს უკან და ამასთანავე ქვეყნის მართვის მთავარი ბერკეტები ბრიუსელში მსხდომი ჩინოვნიკების ხელში გადავა. მიუხედავად ამისა, ესტონელებმა მაინც დადებითად გადაწყვიტეს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი.

საარჩევნო უბნებში ესტონეთის 850 ათასი ამომრჩევლის დაახლოებით 60 პროცენტი გამოცხადდა.

ევროკავშირში გაწევრიანების 10 კანდიდატი სახელმწიფოდან, ესტონეთი მერვე ქვეყანა გახდა, რომლის მოქალაქეებმაც გაერთიანებაში შესვლას დაუჭირეს მხარი. ამჯერად ლატვიის ჯერია, სადაც რეფერენდუმი შაბათს გაიმართება.

სახელმწიფო გადატრიალება გვინეა-ბისაუში

დასავლეთ აფრიკის ამ სახელმწიფოში გადატრიალება გუშინ, დილით მოხდა. მოსახლეობამ ამის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა კორეიამ განაცხადა, რომ პრეზიდენტი დაპატიმრებულია და ამიერიდან პრეზიდენტი თავად იქნება.

ყოფილი პრეზიდენტი კუმბა იალა დაკავებულია, მაგრამ გენერალი ირწმუნება, რომ მას მალე გაათავისუფლებენ.

გადატრიალება მას შემდეგ მოხდა, რაც პრეზიდენტმა მეოთხედ გადადო დანიშნული არჩევნები. კორეია ირწმუნება, რომ იგი ქვეყნის მართვას მხოლოდ არჩევნებამდე აპირებს, ხოლო შემდეგ ძალაუფლებას არჩეულ პოლიტიკოსებს გადასცემს.

გვინეა-ბისაუ პორტუგალიის ყოფილი კოლონია და მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი სახელმწიფოა.

ფეხბურთი

დღეს ლიგა იწყება!

არველაძე და ხიზანიშვილი "შტუტგარტით" იწყებენ, კალაძე ვერ ითამაშებს

დღეს არველაძე და ხიზანიშვილი "რეინჯერსის" ღირსებას დაიცავენ

აკა ფონია

ყოველი საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე გულშემატკივარი მომდევნო სეზონის მოლოდინშია. მიუხედავად იმისა, რომ შესვენება საკმაოდ ხანმოკლეა, ჩვენ მაინც ძალიან გვენატრება ფეხბურთი. ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც "მილანი" ჩემპიონთა თასს დაეუფლა. იმ დღიდან მოყოლებული, ჩემპიონთა ლიგის მორიგ სეზონს ველით. მეტისმეტად გაიწელა ეს ზაფხული...

ჩემპიონთა ლიგის 2003/2004 წლების სეზონს ქართველი გულშემატკივარი განსაკუთრებით დიდი ინტერესით ელოდა - წლევანდელ ლიგაში ხომ ხუთი ქართველი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას. სამ მათგანს დღეს საღამოსვე ვიხილავთ საქმეში: კალაძის "მილანი" "აიაქსს" დაუპირისპირდება, ხოლო არველაძე-ხიზანიშვილის "რეაინჯერსი" - გერმანულ "შტუტგარტს". ბვალიდან მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის "ლოკომოტივიც" ჩაებმება ლიგაში. "ლოკომოტივზე" ხვალ ვისაუბროთ, დღეს კი იმ გუნდებს გადავავლოთ თვალი, რომლებიც საღამოს შეხვდებიან ერთმანეთს.

E ჯგუფი
რეინჯერსი – შტუტგარტი
მანჩესტერი – პანათინაიკოსი

"რეინჯერს" – "შტუტგარტის" წყვილში, ალბათ, შოტლანდიური კლუბი უნდა მივიჩნიოთ ფავორიტად, თუმცა, გერმანელთა მიმართ ყურადღების მოდუნება დაუშვებელია. "შტუტგარტი" ოპტიმალური შემადგენლობით, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ ეწვია გლაზგოს. მწვრთნელი მაგატიც ოპტიმისტურად არის განწყობილი. "აიბროქსზე "შალკეს" სტადიონის მსგავსი ატმოსფერო დაგვხვდება. გასულ შაბათს გელზენკირხენში "შალკეს" ქულა ავართვით. ასე რომ, ეს აიბროქსზეც უნდა შევძლოთ", - განაცხადა ფელიქს მაგატმა. მატჩი, რომელზეც მაგატი საუბრობდა, 0:0 დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შტუტგარტელთა მეკარეს, ტიმო ჰილდებრანდს, უკვე 555 წუთია, საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია.

"შტუტგარტისგან" განსხვავებით, საკადრო პრობლემები აქვს "რეინჯერსს". ჯერ კიდევ გუშინ გლაზგოელებმა არ იცოდნენ, შეძლებს თუ არა თამაშს თავდამსხმელი სტივენ ტომპსონი. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდება მცველი ჰენინ ბერგი. წესით და რიგით, თამაში უნდა შეძლოს ზურაბ ხიზანიშვილმაც, რომელსაც ალბანეთ-საქართველოს მატჩში ნაოპერაციები მუხლი აწუხებდა. ეჭვგარეშეა, ითამაშებს შოთა არველაძე. იმედია, ტიმო ჰილდებრანდის "მშრალ" სერიას სწორედ შოთა დაუსვამს წერტილს.

"მანჩესტრ" – "პანათინაიკოსის" წყვილში, ალბათ, ინგლისური კლუბია უდავო ფავორიტი. თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პოლ სქოულზისა და რიო კინის თამაშის საკითხი. მას შემდეგ, რაც გუნდი დატოვეს ბექჰემმა და ვერონმა, ეს დანაკლისი თვით "მანჩესტერსაც" დაასვამს დაღს. რაც შეეხება "პანათინაიკოსს", ის რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, გასული სეზონებიდანაც კარგად დავინახეთ.

F ჯგუფი
რეალი – მარსელი
პარტიზანი – პორტო

მადრიდის "რეალს" ნებისმიერ მატჩში ფავორიტად მივიჩნევთ. ასეა "მარსელთან" შეხვედრაშიც, თუმცა, სამეფო კლუბს მეტისმეტად სერიოზული პრობლემა აქვს. მას შემდეგ, რაც მადრიდელებმა გუნდიდან გაუშვეს მაკელელე და კონსეისაო, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მათ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, არგენტინელი ესტებან კამბიასო დარჩათ. ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში, როდესაც "რეალმა" 7:2 გაიმარჯვა "ვალიადოლიდთან", კამბიასომ ტრავმა მიიღო. თუ არგენტინელი დღეს ვერ შეძლებს თამაშს, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, ალბათ, გუტის მოუწევს თამაში, რაც ნამდვილად არ არის ამ ფეხბურთელის მოწოდება.

დანაკლისი აქვს "მარსელსაც". ფრანგული კლუბის თავდამსხმელს, დიდიე დროგბას, მუხლის ტრავმა აქვს და მისი თამაში სათუოა.

F ჯგუფის მეორე მატჩში ბელგრადის "პარტიზანი" პორტუგალიურ "პორტოს" დაუპირისპირდება. ბელგრადელებს ძირითადი მეკარე ივიცა კრალი აკლიათ. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი მათეუსი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამ მატჩში სამი ქულის აღებას გეგმავს.

G ჯგუფი
ბეშიქთაში – ლაციო
სპარტა – ჩელსი

"ლაციოსთან" მატჩს თურქული "ბეშიქთაში" ტრავმებით გამოწვეული პრობლემების გარეშე ხვდება. რომაელებს კი ბრაზილიელ სეზარსა და იუგოსლავიელ სინიშა მიხაილოვზე მოუწევთ უარის თქმა. ორივეს ტრავმა აქვს.

ლონდონის "ჩელსი" პრაღის "სპარტასთან" მატჩში ვერონს, უეინ ბრიჯსა და გლენ ჯონსონს დაასვენებს. კლაუდიო რანიერი არც ისე იმედიანადაა. "ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, თუმცა, ახლა ასე არ არის", - განაცხადა რანიერიმ.

H ჯგუფი
ბრიუგე – სელტა
მილანი – აიაქსი

ბელგიურ "ბრიუგეს" დისკვალიფიკაციის გამო ჩეხი მცველი დავიდ როჟენალი დააკლდება. ვერც ტრავმირებული მარეკ სპილარი ითამაშებს. მათ მეტოქეს, "სელტას" კი ბრაზილიელი თავდამსხმელი კატანია ვერ დაეხმარება.

ამსტერდამის "აიაქსი" მილანში ვეტერანი იარი ლიტმანენის გარეშე ჩაფრინდა. ფინელმა ჯერაც ვერ მოახერხა ტრავმის მოშუშება. ასევე ტრავმირებულია ზდენეკ გრიგერა, თუმცა, კუმანი კარგ გუნებაზეა: "მილანელები ჩემპიონები არიან და, აქედან გამომდინარე, ფავორიტებიც. მათ აუცილებლად უნდა მოიგონ, ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს. იმედია, "მილანს" სიურპრიზს მოვუწყობთ". შესაძლოა, "მილანის" რიგებში გამოჩნდეს ახალი შენაძენი კაკა. სამწუხაროდ, ვერ ითამაშებს კახა კალაძე, რომელმაც ჯერაც ვერ მოახერხა ტრავმის მორჩენა. კალაძეს პანკარო შეცვლის.

ჟიდაობა

კურტანიძემ მეორე მსოფლიო მოიგო

პირველი გვერდიდან

REUTERS

რევაზ მინდორაშვილმა "ბრინჯაოს გდება" განახორციელა

არადა, ქართველ ფალავანს მედლების ყულაბაში ევროპის ჩემპიონატების ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედალი აქვს. მედლების სიუხვისა თუ მრავალფეროვნების მიუხედავად, შარშანდლამდე კურტანიძეს მსოფლიო ჩემპიონატებზე წარუმატებლობა თუ უიღბლობა სტანჯავდა. ორჯერ ახლოს იყო მსოფლიო ჩემპიონობასთან, მაგრამ ერთხელ ბრინჯაოს, მეორედ კი ვერცხლის მედალი დარჩა. შარშან კი ნავსი გატეხა და თეირანიდან ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა. ამასთან, არც მეტი, არც ნაკლები, ფინალში მასპინძელთა ჯილა, ალი რეზა ჰეიდარი 20 ათასამდე გულშემატკივრის თვალწინ ბეჭებზე გააკრა. თუ რას ნიშნავს ირანში ჩემპიონობა, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია. კურტანიძემდე ქართველ ფალავანთაგან ირანულ სარბიელზე ასეთი რამ მხოლოდ ორმა ქართველმა ფალავანმა - გოგი სხირტლაძემ და ლევან თედიაშვილმა მოახერხა.

თეირანული ფინალი ნიუ იორკშიც გამეორდა. 96 კგ წონაში კურტანიძემ მეტოქეები ერთმანეთის მიყოლებით სრულიად მშვიდად დაამარცხა და ფინალში ძველ მეტოქეს ალი რეზა ჰეიდარს გადაეყარა. ვითარება იმგვარი გახლდათ, რომ სავსებით შესაძლებელი იყო, ირანელებს ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი აწონ-დაწონეს და ოკეანის გაღმაც გადაფრინდნენ. ამბობდნენ, რომ თუ ირანელები ასპარეზობას გამოტოვებდნენ, ჩემპიონატს ინტრიგა მოაკლდებოდა. ერთნი ამაში ერთგვარ სარგებელსაც ეძებდნენ, მათ შორის ჩვენც - ალი რეზა ჰეიდარის ნიუ იორკში არყოფნა კურტანიძის ჩემპიონობის შანსებს ერთიორად გაზრდისო, მაგრამ... ირანელები "მედისონ სკვერ გარდენს" ეწვივნენ. გამართლდა ქართველ მწვრთნელთა (და არა მარტო მათი) ვარაუდიც: ხალიჩაზე ალი რეზასა და კურტანიძეს უხმეს. ცხადი იყო, რომ ქართველ ფალავანს დარბაზში ჰეიდარის მრავალრიცხოვან მოგუგუნე თანამემამულეთა დამარცხებაც მართებდა. ქართველი ფალავანი მშვიდად შეეგება მეტოქეს და ორთაბრძოლაც გაჩაღდა. კურტანიძე პარტერშიც სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაშინაც კი, როდესაც ჰეიდარმა არაერთხელ სცადა ქართველის პროვოცირება. ჯერ წარბზე მუშტი მოარტყა, შემდეგ თავი ამოსცხო ნიკაპზე. გადამწყვეტი აღმოჩნდა შეხვედრის შუაწელი, როდესაც კურტანიძემ ჰეიდარი დასცა და ერთბაშად სამი ქულა დაიმსახურა. აშკარა იყო: ირანელს ამჯერადაც მეორეობა ელოდა, თუმცა, ქართველი არც ამას დასჯერდა და მალე უპირატესობა კიდევ ერთი ქულით გაზარდა. ირანელმა გულშემატკივარმა ყიჟინას უკლო. კურტანიძემ ღირსეულად დაიცვა ჩემპიონის ტიტული, გახარებული, მწვრთნელებისკენ გაქანდა, საქართველოს დროშა აიტაცა და ხალიჩას წრე შემოუარა. შემდეგ, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან გოჩა ძასოხოვთან მივარდა, მხრებზე დროშა შემოახვია და ისევ სარბიელზე დაბრუნდა. მეტოქეს გადაეხვია, დარბაზს მადლობა გადაუხადა და ახლა უკვე პირადი მწვრთნელის გია გალდავასკენ გაქანდა. ქართველთა ბანაკში კურტანიძის გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ნიუ იორკში გამგზავრებამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზაზა თურმანიძესა და ფედერაციის ხელმძღვანელობას პროგრამა მინიმუმად ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ნიუ იორკში გასათამაშებელი ლიცენზიების მოპოვება ჰქონდათ დასახული. საქართველოს ნაკრებმა შვიდიდან ხუთ წონაში ლიცენზია მოიპოვა და 33 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ წარმატებაში საკუთარი წვლილი შეიტანა ევროპის ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა, რომელმაც ახლაც გაამართლა იმედები. სასიამოვნოა, რომ წლეულს, ანუ მას შემდეგ, რაც ევროპის ჩეპიონობა მოიპოვა, ნიუ იორკში მას ფავორიტად თვლიდნენ. მინდორაშვილის ნადავლი ბრინჯაოს მედალია.

ინფოთეკა

ფეხბურთი. უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, რომის "ლაციოს" ბრაზილიელი ნახევარმცველი სეზარი მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში "ბეშიქთაშის" წინააღმდეგ. სეზარმა ფეხის ტრავმა მიიღო. სეზარის ნაცვლად მინდორზე უნდა გამოვიდეს "ატალანტას" ყოფილი ფეხბურთელი ლუჩანო ძაური. ადრე კი იტყობინებოდნენ, რომ სინიშა მიხაილოვიჩს ბარძაყის ტრავმა საშუალებას არ მისცემს, მინდორზე გამოვიდეს. სავარაუდოდ, მას პაოლო ნეგრო შეცვლის.

■ ■ ■

ფეხბურთი. საფრანგეთის "მარსელი" ჩავიდა მადრიდში, სადაც ის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში "რეალს" დაუპირისპირდება. ფრანგების მწვრთნელის ალენ პერენის განცხადებით, ერთი დანაკლისი აქვთ. ტრავმის გამო მინდორზე ვერ გამოვა დროგბა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანელი ნახევარმცველი ივან დე ლა პენია შოტლანდიის "სელტიკში" აპირებს გადასვლას. ადრე იტყობინებოდნენ, რომ მან ერთ-ერთი კატარული კლუბისგან სარფიანი წინადადება მიიღო. თუმცა, რეალურად წინადადება არც ისე სარფიანი აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა და დე ლა პენიამ ევროპაში დარჩენა გადაწყვიტა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში მიუნხენის "ბაიერნის" პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა: იმ შემთხვევაში, თუ ფიფა საერთაშორისო მატჩების კალენდარს არ გადახედავს, ის თავის ფეხბურთელებს აუკრძალავს ნაკრებში თამაშს. "თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, გაფიცვას მოვაწყობთ და ვნახავთ, შეეძლებთ თუ არა კანონიერი გზით ვიბრძოლოთ ნაკრებში ფეხბურთელთა გაგზავნის იძულებითი წესის წინააღმდეგ. რამდენიმე თვის წინათ ფიფას ვთხოვეთ, ამ პრობლემისთვის მიეხედა. შეგვპირდნენ, მაგრამ რეალურად კლუბების ინტერესებს იგნორირებას უკეთებენ", - ამბობს რუმენიგე. შეგახსენებთ, რომ ახლახან გამართული შესარჩევი მატჩების შემდეგ "ბაიერნის" ორი ფეხბურთელი - პერუელი კლაუდიო პიზარო და მიხაელ ბალაკი კლუბს ტრავმირებულნი დაუბრუნდნენ. შესაძლოა, ორივე ფეხბურთელმა "სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი გამოტოვოს.

■ ■ ■

კალათბურთი. შარუნას იასიკიავიჩუსი შვედეთში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე გახდა. შეგახსენებთ, რომ იასიკიავიჩუსის გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. თავად კალათბურთელს კი ფინალურ მატჩში თამაშის სადავეები ხელთ ეპყრა. მან 9 შედეგიანი გადაცემა განახორციელა და გუნდს 10 ქულა შესძინა. მოხსენებაში საუკეთესო იყო სერბი პრედრაგ დრობნიაკი, ხოლო ყველაზე შედეგიანი - ესპანელი პაუ გაზოლი. ტურნირის შემდეგ ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრებიც დასახელდა: ტონი პარკერი (საფრანგეთი), შარუნას იასიკიავიჩუსი (ლიტვა), ანდრეი კირილენკო (რუსეთი), საულიუს შტომბერგასი (ლიტვა), პაუ გაზოლი (ესპანეთი).

■ ■ ■

ჩოგბურთი. ლოს ანჯელესში მოკლეს ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელების - ვინუს და სერენა უილიამსების უფროსი და, 31 წლის იეტუნდა პრაისი. ის კომპტონის რაიონში ერთ-ერთი სახლის მცხოვრებლებთან ჩხუბის დროს დაცხრილეს და ჭრილობებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციამ იეტუნდა პრაისის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 24 წლის აარონ მაიკლი დაპატიმრა.

სერენა უილიამსმა დის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ შეიტყო კანადაში, სადაც მას პოლიციურ ტელესერიალში იღებენ.

დღეს სერენას და ვინუსს პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში მესამე და მეექვსე ადგილები უკავიათ. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

ჩოგბურთი. ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა ჯონ ფიტცჯერალდმა უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს გუნდის ლიდერებმა ლეიტონ ჰიუიტმა და მარკ ფილიპუსისმა დევისის თასის ნახევარფინალის წინ ტრავმები ვერ მოიშუშეს. მისი თქმით, ბოლო დროს ჰიუიტი ბევრს ვარჯიშობს და კორტზე გამოსასვლელად მზად არის. ფილიპუსისიც გამოჯანმრთელდა, თუმცა, ბოლომდე არა. მას კიდევ დიდი დრო სჭირდება ოპტიმალური ფორმის აღსადგენად.

კალათბურთი

თორმეტწლიანი უბურთობა

ჰაატა თოთაძე

ბაია ურუშაძის ფოტო

ლიახვის ხეობის მოსახლეობამ კალათბურთისთვისაც მოიცალა.

- მოდი, შვილო, დაჯექ. რამდენი ხანია, ეს ბიჭები ასეთი სახეებით არ მინახავს. თორმეტი წელიწადია, ბურთი ხელში არ აუღიათ. აქ, შვილო, სხვა მდგომარეობაა, სხვა საქართველოა. ბურთის აღებას და თამაშსაც სხვა სიხარული მოაქვს.

ამ სიტყვებით შეეგება ლიახვის ხეობის სტუმართ ერთი იქაური მოხუცი. სტუმრიანობა კი დიდი იყო გუშინწინ ლიახვის ხეობაში, საკალათბურთო ტურნირის დასკვნით დღეს. მოგვიანებით "ოქროს შემოდგომად" წოდებული მხიარულება, რომელიც მხოლოდ კალათბურთის თამაშით არ შემოიფარგლებოდა, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ორგანიზატორთა განცხადებით, ნებისმიერ შემთხვევაში ყოველწლიური გახდება.

"ბედნიერი ვარ, როცა ამ ხალხს ვუყურებ. ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხეთ, მათთვის ეს პატარა ზეიმი მოგვეწყო. ყველანაირად ვეცდებით, ეს ტრადიციად ვაქციოთ და მომავალში ამ მხარეს, ამ ხალხს მრავალი სიხარული მოვუტანოთ", - განაცხადა ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა, "დემოკრატმა" კახა გოჩაშვილმა.

- აბა, ბიჭებო, გაიწ-გამოიწიეთ, მოედანი დატოვეთ, თამაში იწყება.

- ძნელი თამაში გვექნება. კარგი ბიჭები არიან აჩაბეთელები.

ტურნირის ფინალში კეხვისა და აჩაბეთის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. სულ შეჯიბრებაში ხეობის შვიდი სოფლის, "კომანდოსა" და ადგილობრივი პოლიციის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე კალათბურთული სოფელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აჩაბეთი აღმოჩნდა. აჩაბეთელები ტურნირზე ორი გუნდით გამოვიდნენ და ფინალისტის ვინაობაც ერთმანეთში გაარკვიეს. მეორე ნახევარფინალში კეხვის გუნდმა ადგილობრივ პოლიციელებს სძლია. სხვათა შორის, კეხველებმა მანამდე "კომანდო" დაამარცხეს.

გადამწყვეტი მატჩი ნამდვილ ფინალური გამოდგა. გამარჯვებულის ვინაობა არათუ ბოლო წუთამდე, ბოლო წამამდეც კი გაურკვეველი იყო. თავდაპირველად აჩაბეთელები დაწინაურდნენ. მოგვიანებით მდევრის როლში აღმოჩენილები, შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ისევ წინ გავიდნენ, მაგრამ...

- მაგას ვენაცვალე ხელებში. რა სამქულიანი ჩააგდო, ბიჯო...

- ხომ გეუბნებოდი, ახლო ეთამაშე-მეთქი. რაა ბიჯო, რით ვერ გაიგე? იდექი ახლა და მიყურე... ეეჰ, რა თამაში წავაგეთ...

მატჩის შემდეგ ასეთ დიალოგებს მოისმენდით მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს შორის.

ფინალის შემდეგ ხეობის ჩემპიონს უკვე ქართული ესტრადის წარმომადგენელთა ნაკრები დაუპირისპირდა. ხეობაში ჩასულ "მხოლოდ შენ ერთს", ბესო ბერულავაშვილსა და ზურაბ დოიჯაშვილს საკალათბურთო მოედანზე მოუხდათ გამოცდის ჩაბარება.

ზეიმის დასასრულს სტუმრებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიუძღვნეს იქაურებს – ამიერიდან ისინი, კარატე დოს ფედერაციისა და "დემოკრატების" წყალობით, საბრძოლო ხელოვნებას უფასოდ დაეუფლებიან.

"დღეს ჩვენს ქვეყანას სულით და ხორცით ჯანმრთელი ადამიანები სჭირდება, ამ მხარეს - განსაკუთრებით", - ასეთი იყო ხეობის სტუმრის, ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერის გიორგი ბარამიძის შეფასება კარატეს შემსწავლელი ჯგუფის გახსნის თაობაზე.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

წერილები მთავრობას

ოთხი თვეა, რაც რუბრიკით "წერილები მთავრობას" მოსწავლეების წერილები და შეკითხვები ქვეყნდება. ისინი მიუთითებენ ქვეყანაში კანონდარღვევებზე, სამთავრობო სექტორის უპასუხისმგებლობაზე, ქალაქში საყოფაცხოვრებო პირობების გაუმართაობასა და სოციალურ პრობლემებზე. მათ წერილებს, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურიდან საპასუხო ქმედებაც მოჰყვება.
დღეს მოსწავლეთა ერთი ნაწილი "24 საათის" სტუდიაში საუბრობს. ადვილია, რომ სიტყვიერად ამტკიცო, იმსჯელო კანონის უზენაესობაზე. ძნელია, პიროვნულად დაიცვა ეს პრინციპი. მოსწავლეები მსჯელობენ განვითარებულ და განუვითარებელ საზოგადოებაზე და ზოგჯერ ჩიხშიც ექცევიან: როგორ შეიძლება, კანონიერება მამის ან მეგობრის ჩაშვებას მოითხოვდეს?! მოსწავლეთა შეხვედრას უძღვება არასამთავრობო ორგანიზაციის "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი **ზურაბ ჭიაბერაშვილი**.

ლევან ხარბედლიანის ფოტოები

ზურაბ ჭიაბერაშვილი - მოგიყვებით ერთ შემთხვევას:
"10 წლის შვილი ეკითხება დედას
- მამა ხომ დირექტორია და რატომ არა აქვს ბევრი ფული?
- ჩვენ ხომ საჭმელი არ გვაკლია, შენ სწავლობ, შენთვის საკმაოდ ძვირიან წიგნებსაც ვყიდულობთ...
- მანქანა?
- ამდენი ფული მართლა არა გვაქვს, რა ქნას, მოიპაროს?
- მერე რა, მოიპაროს... წავა და მოინანიებს."
ამ საუბარს მამაც ესწრებოდა - იქვე მაგიდასთან მუშაობდა და როგორც ხშირად ხდება, შვილის შეკითხვაზე პასუხის გაცემის დრო არ ჰქონდა.
მე მგონი, ეს რუბრიკა თქვენ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ თქვენ დაუსვათ შეკითხვები მათ, ვისაც ის ეკუთვნის და უკეთეს შემთხვევაში, პასუხიც მიიღოთ.
თქვენ მსჯელობთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა კორუფცია, ეკოლოგია, სამართალდარღვევა ... მაინც რა არის საჭირო, რომ კორუფცია არ იყოს?
- კანონი რომ კანონობდეს.
- სამაგალითოდ, უკანონობის რამდენიმე შემთხვევაც რომ დაისაჯოს და დაუსჯელობის სინდრომი არ ბატონობდეს.
ზ. ჭ. - დავუშვათ ასეთი შემთხვევა. ერთი სახლის მაცხოვრებლები წლების განმავლობაში ნაგავს ყრიან ერთ ადგილზე, მაგრამ უადგილოდ, რაც განსაკუთრებით აწუხებს ერთ ოჯახს, რომელიც ყველაზე ახლოს არის იმ ადგილიდან.
როგორ ფიქრობთ, თუ ერთი ეზოს მაცხოვრებლებს არ შეუძლიათ ამ საკითხის ორგანიზება, რომ გავავრცოთ, ქალაქსაც არ შეუძლია სისუფთავის საკითხის ორგანიზება, მაშინ როგორ უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას თუნდაც განათლების საკითხის მოგვარება?
ეს ხომ ერთი საზოგადოებაა... როგორ ფიქრობთ, რაა ის საერთო სიტყვა, რაც საზოგადოებას ქმნის, აწებებს?
- კონცენტრაცია
- ურთიერთგაგება
- ერთი აზრი
- ურთიერთპატივისცემა
- ერთმანეთის ნდობა
- ერთიანობა
ზ.ჭ. - რა თქმა უნდა, ნდობა - ეს არის წებო. მოდი, ვნახოთ ვის ვენდობით ჩვენ?
- ენდობი მეგობარს... მშობელს... თვალდახუჭული მხოლოდ მშობელს, სხვას არა...
- თუ არავის არ ენდობი, ეს დაავადებაა... ადამიანის ნდობა უნდა მოიპოვო...მეორე ადამიანი კარგად უნდა გამოსცადო, რომ ენდო...

ზ.ჭ. - მაგალითად, სამხრეთ იტალიაში, სიცილიაში ნდობა მხოლოდ ნათესაობას შორის არსებობს, უცხოს არ ენდობიან. სიცილიაში, ცნობილია, რომ მძლავრი კორუფციაა გამეფებული. რა თქმა უნდა, მშობელს ვენდობით, მეგობარსაც, მაგრამ მოდით ასეთ მაგალითზე ვიმსჯელოთ, მეგობარმა გაგანდოთ, რომ მოიპარა, როგორ მოიქცევით?
არ დაგავიწყდეთ, რომ კანონი მარტო დამნაშავეს კი არა, დამნაშავის დამფარავსაც სჯის.
- თუ გენდო, არ უნდა გასცე...
- მე არ ვეტყოდი არავის...
- მას შეეძლო არ ეთქვა, მაგრამ თუ მითხრა, რა თქმა უნდა, არ გავთქვამ",
- უნდა გამოასწორო შენი მეგობარი, ჩაშვებით კი არ უნდა ჩაუშვა...
- ეცადო აუხსნა, ერთი შეცდომა ყველას მოსდის...

ნინო

ქეთი

გიორგი

ზ.ჭ - კარგი, შენს მეგობარს ასოცით მიჰყავდა მანქანა იქ, სადაც სამოცით უნდა ევლო. ადამიანი გაიტანა. შენ მის გვერდით იჯექი, რას იტყვი, სამოცით მიჰყავდაო, თუ იტყვი რომ სიჩქარე გადაჭარბებული იყო?
- თუ მეგობარია და ვერ დავაჯერე, რომ თვითონ თქვას, მე არ ვიტყვი...
- თუ ვიცი, რომ მას მეტი აქვს დასაკარგი, მირჩევნია მისი დანაშაული მე ავიღო თავზე...
- ყველაფერს გავაკეთებ, რომ არც ის დაზარალდეს და მეც არ ჩავუშვა მეგობარი...
- მეგობარს უნდა ურჩიო, რომ თვითონ აღიაროს და თუ ვერა, მაშინ ჩავუშვებ -ადამიანი მოკვდა, და თანაც ერთ დაფარულ დანაშაულს მეორე მოჰყვება და ასე გვენგრევა ქვეყანა...
- მე ვერ ჩავუშვებდი და თუ ვინმე სხვა აღმოჩნდებოდა დამნახავი და ის იტყოდა, რა ვქნა...
- მე ვიცი, რომ ჩემს დიდ ბაბუას დახვრეტა ემუქრებოდა იმიტომ, რომ მან მეგობარი არ ჩაუშვა, მაგრამ მეგობარმა თავისი აღიარებით იხსნა... მე მეგობარს არ ჩავუშვებ.

ანი

ნინო

სალომე

ზ.ჭ. - თქვენ იცით, რომ თქვენი ოჯახის წევრმა, მაღალი თანამდებობის პირმა მოიპარა ათი მილიონი დოლარი. ათი მილიონია საჭირო, რომ თბილისი ზამთარში განათებული იყოს. მან ამ ფულით " მეიბახიც" იყიდა... რას იზამთ, ჩაუშვებთ?
- ვაიძულებ, რომ დააბრუნოს...არ ჩავუშვებ
- მამაჩემმა რომ ასეთი მანქანა იყიდოს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვიფიქრებ, რომ მოპარული ფულია, მაგრამ ვერ ჩავუშვებ...
- მე დავარწმუნებ, რომ ის თანამდებობის პირია და მაგალითს უნდა იძლეოდეს, ვერ ჩავუშვებ...
- ჯერ ვურჩევდი და თუ არ გაიგებდა, მერე ჩავუშვებდი...
დარწმუნებული არა ვარ რომ დაბრუნებული ფული კანონიერად დაიხარჯება და სხვა არ ჩაიჯიბავს, ამიტომ, რაღა სხვამ, მე მოვიხმარ...
- როცა საქმე შენ გეხება, იქ თვალებს ხუჭავ. მეც დავხუჭავდი...

ვასიკო

დათო

მაია

ზ.ჭ. - თქვენს შორის, ჯერჯერობით, ერთადერთი ადამიანი, ვისაც უკვე შეუძლია ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრება, არის ის - ვინც ორივე შემთხვევაში თქვა "ჩავუშვებო".
ჩვენ დავიწყეთ საუბარი კანონის უზენაესობით და დაუსჯელობის სინდრომით. მაგრამ, საკმარისია, რომ ჩვენ შეგვეხოს, მსჯელობის დროსაც კი ვხდებით მხდალები და უარვყოფთ ჩვენივე პრინციპებს.
რა უფრო დიდი გამბედაობაა - შენ შეგეძლოს ნებისმიერ შემთხვევაში კანონის მხარეს ყოფნა, თუ ფიქრი, რომ აი, ახლა გამონაკლისი დავუშვათ, გამოვასწოროთ ეს კაცი და ხვალიდან კანონი აღვასრულოთო. ჩვენი საზოგადოების უბედურება ის არის, რომ საკუთარ სანათესაოზე ძნელია კანონის აღსრულება.
აი, ერთმა რომ თქვა, რომ რაღა სხვამ მოიპაროს, ბარემ მე მოვიხმარო, ეს ყველაზე მეტად დამანგრეველია.
კანონის წინაშე ყველა თანასწორია, "ჩაშვების" გაბედულება კი ყველას არა აქვს.
რა თქმა უნდა, მეგობრობა საზოგადოების ფუნდამენტია, ისევე, როგორც კანონიერება და მათ შორის არჩევანი დილემაა, მაგრამ როცა ვამბობთ კანონის უზენაესობა, უნდა გვჯეროდეს კანონის უზენაესობის და უნდა ვიმოქმედოთ ამავე პრინციპით. ეს არის განვითარებული საზოგადოების ფუნდამენტი.

შეკითხვა: არსებობს საქართველოში ადამიანი, რომელიც არ იპარავს და კანონიერად ცხოვრობს კარგად?

ზ.ჭ. - თქვენი თაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგალითები და თქვენც მეკითხებით, მაჩვენეთ ადამიანი, რომელიც არ იპარავს და კარგად ცხოვრობს. საბედნიეროდ, არიან ასეთი ადამიანები: წარმატებული ხელოვანები, სპორტსმენები, კონკურსებში გამარჯვებულები...

შეკითხვა: თუ არა ვარ განსაკუთრებული, მაშინ კარგად ვერ უნდა ვიცხოვრო?

ზ.ჭ. - მე რომ ვსწავლობდი სკოლაში, კლასში ჩანდნენ ჩინებული მოსწავლეები-ხუთოსნები და უჩინონი-ოროსნები, დანარჩენი ოცი მოსწავლე "სათვალავში" არ იყო, იყვნენ სადღაც შუაში.
ნორმალურ საზოგადოებაში სწორედ შუა ფენით განისაზღვრება ყველაფერი. შესაძლოა ჩვენმა ხუთოსანმა დანიელ ხუთოსანს აჯობოს, მაგრამ მთელი კლასი დანიურ კლასს ვერ აჯობებს, როგორც გუნდი. აი ეს არის საზოგადოება. ერი რომ შედგეს, წებო უნდა გვქონდეს და წებო თუ არ გვაქვს ერთი სახლის მობინადრეების დონეზე, ან ქალაქის სისუფთავის მოწესრიგების დონეზე, მაშინ ერის დონეზე მით უფრო არ გვექნება.

თქვენს ასაკშიც და რამდენიმე წლის წინაც, მე თქვენნაირ პასუხს გავცემდი აქ დასმულ შეკითხვებს. თუნდაც ბოლო ორ-სამ წელიწადში მე გავიზარდე როგორც მოქალაქე და როგორც პიროვნება, ასევე საზოგადოებაც იზრდება. ზრდა ჯერ არ დამთავრებულა.

ანა

მიშიკო

ნატო

ირმა

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

TV პროგრამა
16 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „რინჯერსი“- „შტუტგარტი“ **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „ფულის მეფენი“ **11.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05, 15.15** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **17.00** დოკ. სერიალი „პალიტრა“ **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიამოუ **21.45** „სათავეებთან“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „მადმუაზელი“ .

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „დასვენება“ მთ.რ-ში მეგ რაიანი, ლაჩა კუდრიოუ. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „სასიკვდილო ლტოლვა“ მთ.რ-ში ვაინონა რაიდერი, კრისტიან სლეიტერი. **01.40** „ღამურა“ „მიზერნი“ მთ.რ-ში კეიტ ბეიტსი, ჯეიმს კაანი. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „ქვის მფარველები“ **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „სასიკვდილო გადაკიდება“ .

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „პირველი მილიონი“ **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.“დენთის კასრი“ **00.55** მუსიკა.

მესხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკა“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.05** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **12.00** მხ. ფილმი „არმაგედონი“ **14.20, 15.10, 16.20, 17.50, 18.50, 22.10** მუსიკა **14.50** „ოსტატი“ - მთამსვლელი **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ მე-11 ს. **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.50** მოკლ. მხ. ფილმი „არავინ დაზარალდება“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „სიცოცხლის წყურვილი“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 00.55** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „გაიცანით მომხიბლავი ახალგაზრდა“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** ღარის მახე **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „დაუოკებელნი“ **00.40** ქრონიკა.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი - „მაქმანები“ - მე-6 სერია **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **13.40** კომპიუტერული თამაშები **18.20** აუდიო-ვიდეო - ტელე **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.05** „ავტოტრეკინგი“ **22.05** კომპიუტერული ტექნიკა **22.40** „კონოკლუბი“ - „სიჩქარე“- 1. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: იან დე ბონტი. როლებში: სანდრა ბალოკი, ქიანუ რივზი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ვარსკვლავური ომები“ - მე-2 სერია **01.20** მობილურები .

ოპერა – წყლის, დირიჟორის და "ბოჰემას" გარეშე

საოპერო თეატრი ახალ ხელმძღვანელს კომუნალური გადასახადების ქვითრებით ხვდება

მადი სერებრიაკოვა

"ბოჰემას" სიუჟეტი თბილისის საოპერო თეატრში ძალზე სავალალოდ გადათამაშდება - არამარტო სცენაზე, არამედ ყოფაშიც. არ არის ფული – არ არის სპექტაკლი, ხოლო თუ გადაუხდელობის გამო, თეატრი უწყლოდ, უგაზოდ და ელექტროენერგიის გარეშე დარჩება – ჭლექს თუ არა, ნევროლოგიური დაავადებების აფეთქებას – იქ უსათუოდ უნდა ველოდოთ. ბოლო დროს, თეატრი კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დადგა – ფულისა და ახალი პროდუქციის გარდა, თეატრში ერთსულოვნებაც აღარ არის. ხელმძღვანელობის კრიზისი თბილისის საოპერო თეატრში ახალი მოვლენა არ არის: თანამშრომელთა უკმაყოფილების არაერთი შემთხვევა, რომელიც ხშირად მიმართვებსა და ხმამაღალ განცხადებებშიც გამოიხატება, ამის ნათელი მაგალითია. სულ ცოტა ხნის წინათ, საოპერო თეატრის ხელმძღვანელობაში კიდევ ერთი გადათამაშება მოხდა: მართვის განახლებულ სტრუქტურასთან ერთად, ხელმძღვანელობაში ახალი და ყველა მხარისთვის ერთობ პატივსაცემი ფიგურა, ცნობილი მომღერალი თემურ გუგუშვილი მოვიდა.

ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი. შემოქმედებით მხარეს დროებითი სამხატვრო საბჭო განაგებდა, რომელსაც აქამდე გურამ მელივა ხელმძღვანელობდა. ცოტა ხნის წინათ, თეატრში მთავარი დირიჟორის პოსტის დაკავება ზაზა აზმაიფარაშვილს შესთავაზეს. როგორც ბატონი ზაზა აღნიშნავს, **"მთავარი დირიჟორის ადგილი დიდი პასუხისმგებლობაა და თუ მე დავიკავებდი მას, მაშინ ბოლომდე და მთლიანად უნდა ვყოფილიყავი პასუხისმგებელი მუსიკალურ მხარეზე, ვინაიდან თეატრის შემოქმედებითი წინსვლის პრინციპი არადამაკმაყოფილებელი იყო."**

მთავარი დირიჟორი გაფართოებული უფლებებით – ასეთი იყო ახალი თანამდებობის პროექტი, რომელსაც საბოლოოდ, კულტურის სამინისტროს იურისტებთან მუშაობის შემდეგ, მუსიკალური ხელმძღვანელის თანამდებობა დაერქვა. როგორც თეატრის სოლისტები და თავად დირიჟორი აღნიშნავს, ამ თანამდებობის მიღმა თავიდანვე დირიჟორი მოიაზრებოდა (თუმცა, მთავრობაში ხელი თანამდებობის დაწესებას მოეწერა და არა მასზე კონკრეტული ადამიანების დანიშვნას): **"თეატრს უნდა მართავდეს დირიჟორი, მით უმეტეს, ჩვენ კარგად ვიცნობთ ზაზას და მასთან მუშაობა გამოცდილი გვაქვს",** აღნიშნავს სოლისტი, ცნობილი ბარიტონი ელდარ გეწაძე, რომელიც ამასთანავე, ხაზს უსვამს თავის საუკეთესო დამოკიდებულებასა და პატივისცემას თემურ გუგუშვილის მიმართაც, თუმცა ამ უკანასკნელს კოლეგიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს.

ოპერა ახალ სეზონს იწყებს

ფოტო: ლუგანელის ფოტოდ.

ამ პოსტზე თემურ გუგუშვილის დანიშვნა, ერთი მხრივ, ყველასთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. ახალი სამხატვრო კოლეგიის ხელმძღვანელი გურამ მელივა ამ მოვლენას უწოდებს **"იმ დიდი ტრადიციის აღდგენას, როგორიც იყო თავის დროზე დიმიტრი მჭედლიძის, ზურაბ ანჯაფარიძის დროს – როდესაც ოპერის მუსიკალური ცხოვრების სათავეში მომღერალი იდგა".** იგივეს ადასტურებს ზაზა აზმაიფარაშვილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ **"თემურ გუგუშვილი შესანიშნავი მომღერალი და ალბათ, ასეთივე ორგანიზატორია და იგი ძალიან ნაყოფიერად იმუშავებს მომღერლებთან".**

თუმცა, მეორე მხრივ, ეჭვქვეშ აყენებენ იმ საკითხს, თუ რამდენად სრულად შეძლებს მომღერალი მუსიკალური ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულებას, ვინაიდან ეს პოსტი თავიდან დირიჟორზე იყო გათვლილი, რომელსაც კავშირი აქვს არა მარტო მომღერლებთან, არამედ გუნდთან, ორკესტრთან და საბოლოოდ, მას ევალება საოპერო სპექტაკლის შეკვრა. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არ აწყობდათ ამ პოსტზე დირიჟორის დანიშვნა, რადგან ამ შემთხვევაში სამხატვრო კოლეგიის ფუნქციები მეტად იზღუდებოდა.

საბოლოოდ, ხელმძღვანელობა თეატრში ამგვარად გადანაწილდა: სტრატეგიულ საკითხებს სამხატვრო კოლეგია წყვეტს. კოლეგიას გურამ მელივა უდგას სათავეში. მუსიკალური პროდუქციაზე კი პასუხისმგებელი მუსიკალური ხელმძღვანელია - ეს ფუნქცია თეატრში თუმურ გუგუშვილს დაეკისრა. ეს უკანასკნელი, ახალ თანამდებობას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება. გარკვეულწილად, ამას შეიძლება მისი პირადი ვოკალური კარიერაც კი შეეწიროს – გუგუშვილმა უკვე უარი თქვა ჰოლანდიაში "აიდას" 15 სპექტაკლის შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის გამოცდილ სოლისტთა დიდი ნაწილი ზაზა აზმაიფარაშვილის კანდიდატურას უჭერდა მხარს (მათ შორის ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც ლიანა კალმახელიძე, რევაზ ლაგვილავა, ელდარ გეწაძე, ბესო გაბიტაშვილი და სხვები არიან), თემურ გუგუშვილი **"თეატრის ახალი სახის შესაქმნელად"** ძირითად იმედს სწორედ მათზე ამყარებს. ამასთან, თეატრის სტრატეგია ახალი სახეების წარმოჩენა იქნება: **"ჩვენ ტრადიციული თეატრი ვართ და მეც ტრადიციას მივყვები – თეატრში წამყვანი მუსიკა, სიმღერა უნდა იყოს** – აღნიშნავს გუგუშვილი – **როდესაც მსმენელი თეატრში მოვა, პირველ რიგში, კარგი სიმღერა უნდა მოისმინოს, ხოლო თუ მას კარგი დადგმაც დაეხმარება – ამას რა სჯობია. ბოლო ორი წელია ახალგაზრდობა გააქტიურდა თეატრში, მაგრამ ჩემი მიზანია, ახალგაზრდა მომღერალს გაზრდის საშუალება მივცე და მაქსიმალურად გავუხანგრძლივო სასცენო სიცოცხლე. ისინი თანდათანობით უნდა დავტვირთოთ და არა ისე, რომ სამ წელიწადში მისგან ინვალიდი მომღერალი დაგვრჩეს."**

წელს ოპერაში სეზონის გახსნა დაგვიანდა. დაგვიანდა "ბოჰემას" პრემიერაც, რომელიც თავდაპირველად გასული ზაფხულის ივლისში იყო დაგეგმილი. თეატრის ძველი და ახალი ხელმძღვანელობა ყოველგვარ პრობლემას თეატრში ფინანსებს, უფრო სწორად – მათ უქონლობას უკავშირებს. თეატრის ბიუჯეტი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, რეალურად მხოლოდ შტატის ხელფასებს ჰყოფნის, სპექტაკლის დასადგმელი თანხების მოსაპოვებლად კი იძულებულნი არიან სხვა წყაროები ეძებონ. პუჩინის "ბოჰემას" პრემიერა, რომლისთვისაც თეატრში უკვე კარგა ხანია ემზადებოდნენ, ჯერჯერობით, გაურკვევლი ვადითაა გადადებული. გარკვეულწილად, ეს ოპერის ორკესტრიდან 35-მდე მუსიკოსის წასვლას უკავშირდება, რომელთა ჩანაცვლებაც საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესია. თუმცა, სავარაუდოდ, გარკვეულ როლს აქ ზაზა აზმაიფარაშვილის თეატრიდან ფაქტობრივი წასვლაც თამაშობს (სწორედ აზმაიფარაშვილი მუშაობდა "ბოჰემაზე"). **"ძალიან გულდასაწყვეტია, რომ თეატრი კიდევ ერთ ნიჭიერ ადამიანს კარგავს"** – ამბობს დასის ახალგაზრდა წევრი ზაზა ხელაია. **"მიუხედავად იმისა, რომ არ მოხდა ზაზას მთავარი დირიჟორის პოსტზე დაფუძნება** – აღნიშნავს თემურ გუგუშვილი, **მას აქვს განსაზღვრული სპექტაკლები და ჩვენ მაინც ველოდებით, რომ იგი კიდევ წარმოაჩენს თეატრში თავს, როგორც მდგრადი და ნიჭიერი დირიჟორი".** სამწუხაროდ, იგივე პოზიციას არ იზიარებს თავად ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელსაც მართალია თეატრის დატოვების შესახებ განცხადება ჯერ არ დაუწერია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

მიუხედავად ყველაფრისა, თბილისის ოპერის რეორგანიზებულ ხელმძღვანელობას აქვს განსაზღვრული გეგმები და სტრატეგიები: როგორც ახალი სამხატვრო კოლეგიის ხელმძღვანელი გურამ მელივა აღნიშნავს, ამიერიდან თეატრი ორიენტაციას ქართულ პროდუქციაზე აიღებს (საკამრისი ფინანსების მოძიებისთანავე დაიწყება ფალიაშვილის "ლატავრას" და თანამედროვე კომპოზიტორის ზურაბ ნადარეიშვილის ოპერაზე მუშაობა). დაგეგმილია ვახტანგ კახიძის ბალეტის, "ამორძალების" ახალი დადგმით განხორციელება, დაიდგმება ასევე სულხან ნასიძის სიმფონია "ფიროსმანი", ბიძინა კვერნაძის "ქორწინება არმაზში". დასავლური რეპერტუარიდან იგეგმება შტრაუსის კომიკური ოპერა - "ღამურა", რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი დავით საყვარელიძე დადგამს.

ამ სეზონზე გასტროლიც არის გათვალისწინებული. რუსი მომღერალი ბრილიოვა თბილისის თეატრში ნოემბერში ვიოლეტასა ("ტრავიატა") და ჯილდას ("რიგოლეტო") პარტიებს იმღერებს. ამ უკანასკნელს ავსტრიელი დირიჟორი ქალი უხელმძღვანელებს.

როგორ განვითარდება მოვლენები და როგორ აისახება მუსიკალურ პროდუქციაზე ახალი მუსიკალური ხელმძღვანელის მოსვლა თეატრში – ამას მომავალი სეზონიც გვიჩვენებს. თუმცა, იმ დანაკლისის ანაზღაურება, რომელსაც ზაზა აზმაიფარაშვილის მიერ თეატრის დატოვება გამოიწვევს, გარკვეულ სპექტაკლებში მაინც – ალბათ საკმაოდ ძნელი იქნება.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელინადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA ბანკირები / ფინანსები / IT ელექტრონული კომერციის / HRM პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები კომპიუტერული სისტემის ინჟინერია ინტერნეტის ინჟინერია

სრული ერთიანი ფასი £3950 სანქციონირებულია 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - **BA (Hons)** მოლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად **B. Eng (Hons)** მოლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შესწავლა.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიკოლ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ კომისიაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან აგენტობრივ წარმომადგენელ: ნინა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"

იწვევს **30 წლამდე ასაკის** ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკში მუშაობით,

საკრედიტო ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად

სამუშაოს მოკლე აღწერილობა:
- ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის შექმნა
- პროექტების მომზადება საკრედიტო კომიტეტისთვის
- სესხების მონიტორინგი
- საკრედიტო პორტფელის მართვა

ძირითადი მოთხოვნები:
- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- საკრედიტო დაწესებულებაში მუშაობის 2 წლის სტაჟი;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების (Word, Exel) კარგი ცოდნა;
- ანალიტიკური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელობა და კლიენტზე ორიენტირებულობა;

უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წაროადგინოთ:
განცხადება, CV-მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, დიპლომის დასხვა სერტიფიკატების ასლები, ფერადი ფოტოსურათი, სარეკომენდაციო წერილი - სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" სათავო ოფისში მისამართზე:
ქ.თბილისი, დ.უზნაძის 37, პერსონალის და საქმეთა მმართველობის დეპარტამენტი.
ტელ. 93-18-66, ფაქსი: 95-60-85; 99-91-39
ან გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:
personal@ugb.com.ge

სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" თავად დაუკავშირდება სასურველ კანდიდატს

განცხადებები მიიღება 2003 წლის 30 სექტემბრამდე

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.